კვირეული „ვერსია“

ვერსია

№27 (1617) 13 — 19 ივლისი ოთხშაბათი 2022 წელი 1 ლარი

ყოველკვირეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი www.versia.ge

ვინ და რატომ სცემა ქართველ „კანონიერ ქურდს“ სტამბულში

ონიანისა და ლავას ოღლის ომი გრძელდება – ქურდული სამყარო დიდი გარჩევის მოლოდინშია

რა არის და რას ისახავს მიზნად ოპოზიციის მიერ აგორებული დეოლიგარქიზაციის კამპანია

„გვიყვარს ქვეყანა და საბედისწერო ომისთვის არ გვემეტება“ – პრემიერის პასუხი ოპოზიციას

ერთი მიზანი და ოპოზიციის ორი პოზიცია

არსებობს თუ არა ხელისუფლებასთან დიალოგის რესურსი და როგორ უნდა შესრულდეს ევროკავშირის 12-პუნქტიანი გეგმა დეკემბრამდე

125 დაცვის პოლიცია SECURITY POLICE

ირაკლი ქადაგიშვილი: „ოპოზიციის მიზანი საქართველოს ევროპული მომავლისთვის კონკრეტული შედეგის დადება არაა!“

რა არის და რას ისახავს მიზნად ოპოზიციის მიერ აგორებული დეოლიგარქიზაციის კამპანია

„გვიყვარს ქვეყანა და საბედისწერო ომისთვის არ გვემეტება“ – პრემიერის პასუხი ოპოზიციას

იმისთვის, რომ დემოკრატია არსებობდეს და განვითარებული ქვეყანა ვიყოთ, მხოლოდ კარგი ხელისუფლება კი არა, კონსტრუქციული ოპოზიციაც საჭიროა, თუმცა მას შემდეგ, რაც საქართველომ დამოუკიდებლობა მოიპოვა, ჩვენი ოპოზიცია ვერა და ვერ შედგა ანუ მხოლოდ ახლა კი არა, იგივე, სააკაშვილისა თუ შევარდნაძის ეპოქაშიც, ხელისუფლების ოპონენტები ერთნაირ შეცდომებს უშვებდნენ. შეცდომები იქით იყოს და, ოპოზიციას თავის საქმიანობად მხოლოდ ის მიაჩნია, რომ გამოვიდეს, ხელისუფლება ყველაფერზე აკრიტიკოს და ყველაფერი, აი, სულ ყველაფერი მმართველ გუნდს დააბრალოს. დაბრალოს თუნდაც ის, რომ მაგალითად, ამინდი არამდგრადია, ან ეროვნულ გამოცდებზე, რომელიმე საგანში ისეთი საკითხები მოვიდა, რომლებზე პასუხების გაცემაც აბიტურიენტების ნაწილს გაუჭირდა.

ერთი სიტყვით, ქართული ოპოზიცია ჩასაფრებულის პოზიციიდან მოქმედებს. კი ბატონო, კრიტიკა აუცილებელია, მაგრამ კრიტიკაცაა და კრიტიკაც. ავიღოთ დღევანდელი მოცემულობა – ოპოზიცია „ოცნებას“ რამე ფუნდამენტურ საკითხებზე კი არ ედავება, არამედ, გაფუჭებული პატეფონივით ჩაუხვევია, გინდა თუ არა, დეოლიგარქიზაცია უნდა დაიწყოს და გვეშველებაო. მმართველმა გუნდმაც, კი ბატონო, დეოლიგარქიზაციის კანონზე მუშაობს დავიწყებო, მაგრამ „ოპოებს“ ეს აღარ მოეწონათ, რადგან გაირკვა, რომ „დეოლიგარქიზაციის კამპანიაში“ დავით კეზერაშვილი და „ნაცებისდროინდელი“ სხვა მაღალჩინოსნებიც, შესაძლოა, მოხვდნენ. სხვათა შორის, საქართველოს პრემიერმა, ირაკლი ღარიბაშვილმა „დეოლიგარქიზაციის“ მოსურნეებს მოსთხოვა, განმარტეთ, დეოლიგარქიზაციაში რას გულისხმობთო. „ოპოებიდან“ პრემიერისთვის პასუხი, უფრო კონკრეტულად, არგუმენტირებული პასუხი ჯერ არავის გაუცია. ჰოდა, სანამ ოპოზიცია ფიქრობს, „ვერსია“ პრემიერის წერილს, რომელიც სოციალურ ქსელში გავრცელდა, უცვლელად გთავაზობთ:

„საზოგადოების წინაშე თავს ვალდებულად მივიჩნევ, გამოვეხმაურო ჩვენი შიდა თუ გარე პოლიტიკური ოპონენტების მიერ აგორებულ კამპანიას ე.წ. დეოლიგარქიზაციის შესახებ, რომელიც, ერთი მხრივ, წარმოადგენს ყოვლად დაუსაბუთებელ ბრალდებას ბიძინა ივანიშვილის მიმართ და, მეორე მხრივ, საქართველოში მოქმედი მმართველობის სისტემის დისკრედიტირებას ისახავს მიზნად.

რადგან პოლიტიკაში ბიძინა ივანიშვილის ჩართულობის არავითარი ფაქტი არა აქვთ, ე.წ. ოლიგარქიული მმართველობის მთავარ „მტკიცებულებად“ იმ გარემოებაზე მიუთითებენ ხოლმე, რომ მე და ჩვენი პოლიტიკური გუნდის რამდენიმე მოწინავე წევრი პოლიტიკაში სწორედ მისი ლიდერობით მოვედით.

პირველ რიგში, გავიხსენებ, რომ „ქართუ ჯგუფში“ ღია კონკურსის გზით მოვხვდი და ბიძინა ივანიშვილიც სწორედ ასე გავიცანი. ბუნებრივია, როგორც „ქართუს“ საქველმოქმედო ფონდის დირექტორს, მასთან მჭიდრო ურთიერთობა მქონდა. მაშინ დამყარდა მეგობრული ურთიერთობაც ბიძინა ივანიშვილის ოჯახსა და ჩემს ოჯახს შორის, რითაც მთელი ჩემი ოჯახი განსაკუთრებულად ამაყობს. ასევე, განსაკუთრებულად ვამაყობ ბერასთან ჩემი პირადი მეგობრობით. საზოგადოებას მინდა განვუმარტო, რომ ამ ურთიერთობების გათვალისწინებით, ჩვენს ოჯახებს აქვთ პერიოდული კომუნიკაცია ერთმანეთთან. მაგალითად, ცოტა ხნის წინ, ჩემმა მეუღლემ მიიღო რჩევები ბიძინა ივანიშვილის მეუღლისგან გარკვეულ სამედიცინო საკითხთან დაკავშირებით. მსგავსი კომუნიკაცია ბიძინა ივანიშვილთან პერიოდულად მეც რომ მქონდეს, ბუნებრივია, ვერც ამაში იქნება რამე დასაძრახი.

როდესაც 2011 წელს, ბიძინა ივანიშვილმა პოლიტიკაში მოსვლის შესახებ გააკეთა განცხადება, ერთი წამით არ მიყოყმანია. რა თქმა უნდა, ჩემს გადაწყვეტილებასთან დაკავშირებული რისკები იმთავითვე მქონდა გააზრებული. თუმცა, არა მხოლოდ ბიძინა ივანიშვილის მიმართ ჩემი დამოკიდებულების გამო, არამედ, ქვეყნის ინტერესების გათვალისწინებით, ყოველგვარი ზედმეტი ფიქრის გარეშე გადავწყვიტე, დემოკრატიული გარდატეხისთვის ბრძოლაში აქტიურად ჩავრთულიყავი.

რა თქმა უნდა, ჩემ გარდა, ამ ბრძოლაში „ქართუ ჯგუფის“ უამრავი სხვა წარმომადგენელიც ჩაერთო, რომელთა ნაწილი დღესაც ჩვენი პოლიტიკური გუნდის აქტიური წევრია. მუქარითა და ზეწოლით არა მხოლოდ ჩვენს გაჩერებას, არამედ, „ქართუს“ სტრუქტურების დაშლასაც კი ცდილობდნენ. თუმცა, გუნდმა ბოლომდე იბრძოლა, ზეწოლას გაუძლო და მოძალადე რეჟიმი დაამარცხა.

იყვნენ ისეთებიც, რომლებმაც ზეწოლას ვერ გაუძლეს და არა მხოლოდ ბრძოლაში ვერ ჩაერთნენ, არამედ, ,,ქართუც“ კი დატოვეს, ხოლო ზოგიერთი ქვეყნიდანაც კი წავიდა. თუმცა, კადრების დეფიციტის გამო, რამდენიმე მათგანს, მაგალითად, გიორგი კვირიკაშვილსა და დიმიტრი ქუმსიშვილს, ბიძინა ივანიშვილმა პროფესიონალიზმი მაინც დაუფასა და 2012 წელს, ისინი ახალ მთავრობაშიც კი მიიწვია.

2011-12 წლებში, „ქართუს“ დატოვებისთვის ვერავინ ვერავის გაამტყუნებს, ისეთი მასშტაბის ზეწოლის გამოვლა მოუწია თითოეულ ჩვენგანს. როგორც საზოგადოებას კარგად მოეხსენება, პოლიტიკურ პროცესებში ჩართვისთანავე, ჩემი სიმამრი დაიჭირეს და შემომითვალეს, რომ მას მხოლოდ პოლიტიკიდან ჩემი გასვლისა და ბიძინა ივანიშვილის გუნდის დატოვების შემთხვევაში გაათავისუფლებდნენ.

ყოველგვარი მორალის გარეშე მოქმედი რეჟიმის მხრიდან, განსაკუთრებით მძიმე ზეწოლის ქვეშ იყვნენ ადამიანები, რომლებიც 2011-12 წლებში, ბიძინა ივანიშვილის უსაფრთხოებას იცავდნენ. მათ შორის იყვნენ ვახტანგ გომელაური და ანზორ ჩუბინიძე, რომლებსაც წარსულში ივანიშვილის პირადი უსაფრთხოების დაცვას ის ადამიანები საყვედურობენ, რომლებიც მაშინ ბიძინა ივანიშვილსა და თითოეულ ჩვენგანს ყოველნაირი ამორალური ფორმით გვებრძოდნენ.

რა თქმა უნდა, ბრძოლისა და უშიშრობის მაგალითს თანამებრძოლებს ყოველ ჯერზე პირველი სწორედ ბიძინა ივანიშვილი აძლევდა და ეს მაგალითი გუნდს ყველაზე მეტად აძლიერებდა. თუმცა, გუნდის თითოეული წევრის ბრძოლა და გამბედაობა მაინც ცალკე აღნიშვნის ღირსია. ხშირად ყველაფერს ისე წარმოაჩენენ, რომ ბიძინა ივანიშვილმა არჩევნები მოიგო და გუნდის წევრებს თანამდებობები მოწყალების სახით დაურიგა. რა თქმა უნდა, ბიძინა ივანიშვილის დამსახურება გუნდის ნებისმიერი სხვა წევრის დამსახურებას ერთიორად აღემატებოდა, მაგრამ ყველას მინდა შევახსენო, რომ ვახტანგ გომელაურმა, ანზორ ჩუბინიძემ და სხვებმა სახელმწიფო სამსახურში საკუთარი წარმატება, პირველ რიგში, სწორედ თავიანთი თავგანწირვისა და პროფესიონალიზმის ხარჯზე შექმნეს.

2012 წელს, ვახტანგ გომელაური შინაგან საქმეთა სამინისტროში მე მივიყვანე ჩემს მოადგილედ. ანზორ ჩუბინიძეც, უწესიერესი კაცი და პროფესიონალი სამართალდამცავი, 2012 წლიდან ჩაერთო სახელმწიფო სამსახურში. როდესაც მთავრობისთვის კადრებს არჩევ, ბუნებრივია, უცხო ხალხს ვერ მიიყვან და პირველ რიგში, იმ ადამიანებს ეყრდნობი, რომლებმაც შენთან ერთად უმძიმესი ბრძოლა გამოიარეს და თავის საქმეს მაღალი პროფესიონალიზმით გაართვეს თავი. ამ თვალსაზრისით, ვახტანგ გომელაურიცა და ანზორ ჩუბინიძეც გამორჩეულები იყვნენ და სწორედ ამის შედეგია, რომ მათ ხელისუფლებაში მაღალი პოზიციები ამდენი წლის განმავლობაში შეინარჩუნეს. რამდენიმე კვირის წინ, როდესაც ვახტანგ გომელაური პარლამენტის წინაშე ანგარიშით წარსდგა, ოპოზიციამ შინაგან საქმეთა სამინისტროს საქმიანობის შესახებ ერთი გამართული შეკითხვაც კი ვერ დაუსვა, რაც იმაზე მეტყველებს, რომ ის თავის საქმეს საუკეთესოდ უძღვება.

დასასრული მე-3 გვერდზე

რა არის და რას ისახავს მიზნად ოპოზიციის მიერ აგორებული დეოლიგარქიზაციის კამპანია

მე-2 გვერდიდან

იგივე უნდა ითქვას კიდევ ერთი ძალოვანი უწყების ხელმძღვანელზე, გრიგოლ ლილუაშვილზე, რომელიც 2011-2012 წლებში, ბრძოლის წინა ხაზზე იდგა და დღეს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურს ძალზე მაღალი პროფესიონალიზმით ხელმძღვანელობს.

როდესაც ჩვენი შიდა თუ გარე პოლიტიკური ოპონენტები დეოლიგარქიზაციაზე საუბრობენ, ბუნებრივია, ეს ჩემთვის განსაკუთრებით შეურაცხმყოფელია. კონსტიტუციური თეორიისა და პრაქტიკის მიხედვით, საპარლამენტო რესპუბლიკაში, ქვეყნის პოლიტიკური ლიდერი პრემიერ-მინისტრია და ხალხის წინაშე მას ეკისრება პასუხისმგებლობა, საკუთარი ფუნქცია ყოველგვარი ჭარბი გავლენისგან დამოუკიდებლად შეასრულოს. როდესაც ვიღაც ამტკიცებს, რომ პრემიერ-მინისტრი ფარსის ნაწილია და სინამდვილეში, იმ ადამიანისგან იმართება, რომელმაც გასული წლის იანვარში, პოლიტიკიდან გასვლის გადაწყვეტილება მიიღო, ეს არა მხოლოდ მე, არამედ, სახელმწიფოსაც შეურაცხჰყოფს.

ბუნებრივია, ჩვენს პოლიტიკურ გუნდს აქვს განსაკუთრებული დამოკიდებულება ბიძინა ივანიშვილის მიმართ. ამის მიზეზი მხოლოდ ის არაა, რომ ბიძინა ივანიშვილი ჩვენი პოლიტიკური გუნდის დამფუძნებელია. მან 2011 წელს, ქვეყნისთვის თავი გადადო და საქართველოს დემოკრატიული გარდატეხა მოუტანა, პოლიტიკიდან გასვლისას კი, სახელმწიფოს სამართავად სწორი ღირებულებები და თამაშის წესები დაგვიტოვა. ეს ღირებულებები და თამაშის წესებია სამშობლოს სიყვარული და კანონის პატივისცემა. ამასთან, ამ ღირებულებებსა და თამაშის წესებს ჩვენ არ მივყვებით, როგორც გუნდის ყოფილი ლიდერისგან თავსმოხვეულ მემკვიდრეობას. ისინი მთელი ჩვენი პოლიტიკური გუნდისთვის სისხლხორცეულად მნიშვნელოვანი და ორგანულია.

ბიძინა ივანიშვილის მიერ დატოვებულ ამ თამაშის წესებთან სრულიად შეუთავსებელია ყალბი ბრალდება ოლიგარქიული მმართველობის შესახებ, რომელსაც პოლიტიკური ოპონენტები, ერთი მხრივ, ბიძინა ივანიშვილს, ხოლო, მეორე მხრივ, ხელისუფლებას უყენებენ.

საზოგადოებას მინდა შევახსენო, რომ თავდაცვის, საგარეო საქმეთა, იუსტიციის, ფინანსთა და ჯანდაცვის მინისტრების საკვანძო სამთავრობო პოზიციებს დღეს იკავებენ ადამიანები, რომლებსაც ბიძინა ივანიშვილი არც კი შეხვედრია და იცნობს. საპარლამენტო გუნდის ლიდერების დიდ ნაწილთან, მათ შორის, პარლამენტის თავმჯდომარესთან და არაერთი საკვანძო კომიტეტის ხელმძღვანელთან, ბიძინა ივანიშვილი მხოლოდ საპარლამენტო არჩევნების წინ, მათი წარდგენის დღეს არის შენახვედრი. ასეთ დროს, საუბარი იმაზე, რომ ბიძინა ივანიშვილი მთავრობასა და პარლამენტს მართავს და აკონტროლებს, სრული ფარსი და აბსურდია.

აქვე შეგახსენებთ, რომ პრემიერ-მინისტრის საქმეებში ბიძინა ივანიშვილის ჩარევას ჩემი წინამორბედებიც, გიორგი გახარია და გიორგი კვირიკაშვილი, გუნდის დატოვების შემდეგაც უარყოფდნენ.

ასეთ პირობებში, ობიექტურ დამკვირვებელს შეიძლება დარჩეს მხოლოდ იმის თეორიული ეჭვი, რომ ბიძინა ივანიშვილი რამე კონკრეტული საკვანძო გადაწყვეტილებების მიღებაში შეიძლება ყოფილიყო ჩარეული. დღევანდელ მოცემულობაში, ასეთი საკვანძო გადაწყვეტილებები მხოლოდ ორი შეიძლება იყოს: რუსეთისთვის სანქციების არდაწესება და ომში ქვეყნის არჩართვა.

სანქციებისა და ომის თემაზე დღეს ბევრს არ ვისაუბრებ. ჩვენი პოლიტიკური გუნდის სხვა წევრების მსგავსად, ბუნებრივია, მეც მიწევს რაღაცებს გავუფრთხილდე. ვიტყვი მხოლოდ ერთს: თუ ვინმე ფიქრობს, რომ სანქციები ბიძინა ივანიშვილის კარნახით არ დავაწესეთ და ომშიც მისი კარნახით არ ჩავერთეთ, ძალიან ცდება. გუნდში ამ საკითხთან დაკავშირებით, არავის რჩევა და კარნახი არ გვჭირდება. მიზეზი მარტივია – ჩვენც გვიყვარს ქვეყანა და საბედისწერო ომისთვის ის არც ჩვენ გვემეტება! შესაბამისად, ამ საკითხებზე გადაწყვეტილებები გუნდმა დამოუკიდებლად და სრული ერთსულოვნებით მიიღო.

როგორც უკვე აღვნიშნე, გუნდი არც ოპერატიულ და არც საკვანძო გადაწყვეტილებებს არ იღებს პოლიტიკიდან გასული ყოფილი ლიდერის კარნახით. ამ ვითარებაში, კამპანიის ავტორებმა კეთილი ინებონ და განმარტონ, რას გულისხმობენ, როდესაც ოლიგარქსა და დეოლიგარქიზაციაზე ლაპარაკობენ.

ბუნებრივია, ბიძინა ივანიშვილის ფაქტორი ქვეყანაში სერიოზულ როლს ასრულებს. მის ფაქტორზე საუბრისას, ქველმოქმედებას არც კი გავიხსენებ. ბიძინა ივანიშვილმა სწორედ მისი თავგანწირვითა და ახალი თამაშის წესების დამკვიდრებით მოიპოვა ის სიყვარული და პატივისცემა გუნდისგან და საზოგადოებისგან, რომელიც ჩვენს ოპონენტებს ასე ძლიერ აშფოთებთ. ბიძინა ივანიშვილის წარსულს და ამ წარსულზე დაფუძნებულ სიყვარულსა და პატივისცემას ჩვენი ოპონენტები ვერაფერს უხერხებენ, რაც მათ სასოწარკვეთილებაში აგდებს. ბიძინა ივანიშვილი ნაციონალური მოძრაობისა და მისი ლიდერების პირდაპირი ანტიპოდია, რასაც ხალხი ძალიან კარგად ხედავს და აფასებს.

თუ მათთვის პრობლემა ბიძინა ივანიშვილის ფაქტორი და, როგორც ასეთი, მისი არსებობაა, მაშინ ეს უნდა აღიარონ. თუ მათთვის პრობლემა ბიძინა ივანიშვილის მიერ დატოვებული ღირებულებები და თამაშის წესები – სამშობლოს სიყვარული და კანონის პატივისცემაა, კეთილი უნდა ინებონ და ესეც უნდა აღიარონ. ცნობიერი თუ ქვეცნობიერი იმედი იმისა, რომ საჭიროების შემთხვევაში, ბიძინა ივანიშვილი ქვეყანას კიდევ ერთხელ დაუდგება გვერდში, შეიძლება, ჩვენს გუნდსაც ჰქონდეს და საზოგადოებასაც. თუ ჩვენი ოპონენტები პრობლემას ამაში ხედავენ, ამასაც აღიარება სჭირდება.

დღეს საქართველოს აქვს კარგი შედეგები ყველა მიმართულებით. რეგიონში და მთელ კონტინენტზე არსებული უმძიმესი ვითარების, უსაფრთხოებისა და ეკონომიკის ურთულესი გამოწვევების, რადიკალური ოპოზიციის პერმანენტული დესტრუქციის ფონზე, საქართველო ინარჩუნებს მშვიდობას, სტაბილურობასა და ორნიშნა ეკონომიკურ ზრდას. რა თქმა უნდა, ეს ყველაფერი იმ თამაშის წესების დამსახურებაა, რომლებიც ბიძინა ივანიშვილმა ქვეყანას დაუტოვა. თუ ამას უწოდებენ ოლიგარქიზაციას და ამისათვის უნდათ ბიძინა ივანიშვილის დასჯა, ესეც პირდაპირ უნდა თქვან.

ჩვენი საზოგადოების ერთ-ერთმა თვალსაჩინო წარმომადგენელმა, რამდენიმე დღის წინ დაწერა, ბიძინა ივანიშვილმა, როგორც პოლიტიკის გროსმაისტერმა, ოპოზიცია პატურ მდგომარეობაში ჩააყენაო. მართლაც, მან ჩვენს ოპონენტებს თამაში და სვლები არ დაუტოვა. ეს არის მდგომარეობა, როდესაც ბიძინა ივანიშვილი არც თავად აკეთებს სვლებს და არც ოპონენტებს აძლევს იმის შანსს, რომ ქვეყნის წინააღმდეგ რამე სვლა გააკეთონ.

რა თქმა უნდა, ამ მდგომარეობას საზოგადოების სწორი ანალიზიც უწყობს ხელს. გასული 30 წლის განმავლობაში, საზოგადოებამ ძალიან დიდი გამოცდილება შეიძინა. ხალხი დღეს კარგად არჩევს შავსა და თეთრს, ნაციონალური მოძრაობის თამაშის წესებსა და ბიძინა ივანიშვილის მიერ დატოვებულ თამაშის წესებს, ვის სურს ომი და ვის სურს მშვიდობა საქართველოსთვის, ვის სურს არეულობა და ვის სურს სტაბილურობა, ვის სურს რეგრესი და ვის სურს ქვეყნის წინსვლა და განვითარება. სწორედ ამიტომაა, რომ ხელისუფლებაზე მრავალი მხრიდან განხორციელებული შეტევის მიუხედავად, ჩვენმა პოლიტიკურმა ოპონენტებმა ხალხის შეცდომაში შეყვანა და საზოგადოების მხარდაჭერის მოპოვება ვერაფრით შეძლეს.

ბიძინა ივანიშვილის მიერ დატოვებული თამაშის წესები და საზოგადოების გამოცდილება არის ორი ფაქტორი, რომელიც ჩვენს პოლიტიკურ ოპონენტებს წარმატების არავითარ შანსს არ უტოვებს. ასეთ პირობებში, ნაციონალურ მოძრაობას და მის შიდა თუ გარე პარტნიორებს ვურჩევდი, შეეგუონ არსებულ მოცემულობას – მშვიდობას, სტაბილურობასა და ორნიშნა ეკონომიკურ ზრდას. მათ უნდა გაიაზრონ, რომ რამდენიც არ უნდა მოინდომონ, საქართველოს ომში ვეღარ ჩართავენ. მათ უნდა გაიაზრონ, რომ როცა სვლა არ გაქვს, უმჯობესია, სტრატეგია შეცვალო და გაჩერდე, რომ თამაში ახალი პარტიისთვის მაინც დაიტოვო“.

ერთი მიზანი და ოპოზიციის ორი პოზიცია

თათია გოჩაძე
598-43-50-34

არსებობს თუ არა ხელისუფლებასთან დიალოგის რესურსი და როგორ უნდა შესრულდეს ევროკავშირის 12-პუნქტიანი გეგმა დეკემბრამდე

ევროკავშირის კანდიდატი ქვეყნის სტატუსის მისაღებად, საქართველოსთვის გადმოცემული 12-პუნქტიანი გეგმის შესასრულებლად ხელისუფლებას „დედლაინი“ დეკემბრამდე აქვს, რაც იმას ნიშნავს, რომ საკმაოდ მნიშვნელოვანი მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად, ხუთი თვეღა რჩება. პირველ პუნქტში ჩადებული მოთხოვნის მიუხედავად, რაც ქვეყანაში პოლიტიკური პოლარიზების აღმოფხვრას გულისხმობს, მმართველი ძალა და ოპოზიცია აღნიშნული გეგმის შესასრულებლად, ერთ მაგიდასთან ვერ ახერხებს დაჯდომას. ხელისუფლებამ საპარლამენტო სივრცეში ოპოზიციას შესთავაზა გეგმის შესასრულებელ სამუშაოში ჩართვა, თუმცა საპარლამენტო ოპოზიციის ნაწილი პაპუაშვილს არ შეხვდა და ცალკე, დამოუკიდებელი პლატფორმა შექმნა, სადაც არასამთავრობო სექტორთან ერთად განიხილავს საკითხებს, რისი გაკეთებაც ევროკავშირის მიერ გადმოცემული გეგმის შესასრულებლადაა საჭირო. მოკლედ, საქართველოს პარლამენტში, 12-პუნქტიანი გეგმის შესასრულებლად, ორი სივრცე შეიქმნა – ერთში უმრავლესობა და ოპოზიციის ნაწილი, კერძოდ, გირჩი, მოქალაქეები, საქართველოსთვის მონაწილეობს და მეორე ფლანგზე ყველა დანარჩენი პროდასავლური ოპოზიციური პარტია, არასამთავრობო სექტორთან ერთად, გეგმის მისაღწევ გზებზე მსჯელობს. „ვერსია“ ესაუბრა საპარლამენტო ოპოზიციის ორივე მხარეს, რათა გაერკვია, რატომ ხედავენ ან ვერ ხედავენ ოპოზიციონერები ხელისუფლებასთან ერთად დიალოგის რესურსს იმ დიადი მიზნის მისაღწევად, რასაც საქართველოს ევროპულ სტრუქტურებში სწრაფვა ჰქვია...

პარტია საქართველოსთვის წარმომადგენელი, ანა ბუჩუკური ერთ-ერთი ოპოზიციონერი დეპუტატია, რომელიც შალვა პაპუაშვილს შეხვდა. ის აცხადებს, რომ განსაკუთრებული მოლოდინი ამ შეხვედრიდან არ ჰქონდა და განმარტავს, რომ პირველი შეხვედრა ზოგადი ხასიათის იყო:

„ეს შეხვედრა უკავშირდებოდა დეპოლარიზაციის საკითხს, რომლის წყაროც ჩვენი გუნდი ნამდვილად არაა. პოლარიზაციის ძირითადი მხარეები „ქართული ოცნება“ და ნაციონალური მოძრაობა არიან, თუმცა პასუხისმგებლობა, რასაკვირველია, „ქართულ ოცნებაზე“ უფრო დიდია იმიტომ, რომ ხელისუფლებაშია. შეხვედრაზე ვკითხე „ქართული ოცნების“ წარმომადგენლებს, კონკრეტული კომპრომისული ნაბიჯის გადადგმისთვის იყვნენ თუ არა მზად, რაზეც პასუხი ვერ მივიღე და პირიქით, ზოგის განაცხადმა კითხვები გააჩინა. მაგალითად, ითქვა, რომ პოლარიზაციის ერთგვარი მექანიზმი შეიქმნება იმის გასარკვევად, თუ რომელი პოლიტიკოსი იყენებს „სიძულვილის ენას“ და ზრდის პოლარიზებულ გარემოს, რაზეც მათთანაც გამეღიმა იმიტომ, რომ პოლარიზაციის დიდი წყარო თავად „ქართული ოცნებაა“.

ბუჩუკურის თქმით, გიორგი გახარიას პარტია მონაწილეობს ყველა ფორმატში, სადაც 12-პუნქტიანი გეგმის შესრულებაზე მსჯელობენ:

„ჩვენმა გუნდმა თავიდანვე განვაცხადეთ, რომ აბსოლუტურად ყველა ფორმატში მივიღებთ მონაწილეობას, სადაც კი არსებობს ოდნავი შანსი მაინც, რომ მივიდეთ იმ ყველაზე მნიშვნელოვან მიზნამდე, რასაც კანდიდატის სტატუსის მინიჭება ჰქვია, დეკემბრამდე მხოლოდ ამას უნდა ვემსახურებოდეთ. პარლამენტში იმართება საპარლამენტო ოპოზიციის შეხვედრები არასამთავრობო სექტორთან და ასევე, მონაწილეობას ვიღებთ ამ ფორმატშიც. ზოგადად, ეს პროცესი საკმაოდ რთულია, ნდობის ხარისხი „ქართული ოცნების“ მიმართ რამდენად დაბალია, მგონი, აქ ორი აზრი არ არსებობს, რასაც მნიშვნელოვანი წინაპირობა აქვს, მაგრამ ვიმეორებ – ეს საპარლამენტო ოპოზიციას არ გვაძლევს იმის უფლებას, რომ მაქსიმუმი არ გავაკეთოთ და ყველა ფორმატი, ყველა კანონიერი გზა არ გამოვიყენოთ იმისთვის, რათა ის მცირედი შანსი, რომელიც არსებობს ჩვენი ქვეყნისთვის სტატუსის მისაღებად, არ გამოვიყენოთ“.

ანა ბუჩუკური არსებულ პოლარიზებულ სივრცეში კომპრომისების აუცილებლობაზეც საუბრობს:

„ევროკავშირისგან მივიღეთ ბევრი საშინაო დავალება რეფორმების კუთხით და მათ შორის, მივიღეთ დოკუმენტაცია, რომ პოლარიზება უნდა დასრულდეს და მოვიქცეთ ისე, როგორც ევროპელი პოლიტიკოსები იქცევიან. ქართველმა ხალხმა არაერთხელ დაამტკიცა, რომ ვართ ევროპელები და გადავსებული რუსთაველიც ვნახეთ 20 ივნისს, რაც იყო გზავნილი, რომ ქართველი ხალხის ურყევი ნებაა ევროპული არჩევანი და ახლა ჯერი ჩვენზეა. პოლიტიკოსებმა და განსაკუთრებით, საპარლამენტო ოპოზიციამ უნდა დავამტკიცოთ, რომ ჩვენ შეგვიძლია, ყველასთან დავსხდეთ მაგიდასთან საუბროდ და შეგვიძლია კომპრომისი, რადგან ევროპული პოლიტიკა, პირველ რიგში, ნიშნავს კომპრომისების ხელოვნებას. ეს მხოლოდ ლამაზი სიტყვები კი არაა, არამედ, კონკრეტულ ქცევას გულისხმობს. როდესაც საუბარია კონკრეტული რეფორმის განხორციელებაზე, მოგვწონს ეს თუ არა, რეფორმები ხელისუფლების გარეშე, ხომ ვერ გატარდება? – როგორიც უნდა იყოს, ხელისუფლება ფლობს საპარლამენტო უმრავლესობას და არსებობს ბერკეტები, რასაც პარლამენტში კანონის მიღება ჰქვია. აქ ჩვენი ფუნქცია ისაა, რომ „ქართულ ოცნებას“ არ მივცეთ უფლება, ილუზორული რეფორმები გაატაროს და მეორე მხრივ, ჩვენ, საპარლამენტო პარტიებმა, მაქსიმუმი გავაკეთოთ ნებისმიერ ფორმატში, რათა ამ დიად მიზანს მივაღწიოთ. კომპრომისის ერთადერთი მიზანი უნდა იყოს არა პირადი ინტერესი, არამედ, კანდიდატის სტატუსის მიღება“.

ბუჩუკური საარჩევნო ბარიერის შესახებაც საუბრობს და აცხადებს, რომ ეს არის მნიშვნელოვანი საკითხი, მაგრამ არა – პრიორიტეტული:

„ჩემმა ოპოზიციონერმა კოლეგებმა იციან ჩვენი გუნდის განსხვავებული პოზიცია და ეს მე „ქართულ ოცნებასთანაც“ დავაფიქსირე შეხვედრაზე, რომ ჩვენი გუნდისთვის კატეგორიულად მიუღებელია, როცა ნებისმიერ მხარეს მთელი ეს პროცესი დაჰყავს ბარიერის დაწევის საკითხამდე. იმას არ ვამბობთ, რომ ბარიერის დაწევის თემა მნიშვნელოვანი არ არის, მაგრამ კატეგორიულად მიუღებელია, პოლიტიკურმა პარტიებმა ივაჭრონ იმაზე, რომ შემდეგი მოწვევის პარლამენტში ერთი-ორი კაცი შეიყვანონ.

დასასრული მე-5 გვერდზე

ერთი მიზანი და ოპოზიციის ორი პოზიცია

მე-4 გვერდიდან

არ შეიძლება, ეს საკითხი იყოს პრიორიტეტული და არ შეიძლება, მის სანაცვლოდ, დანარჩენი უმნიშვნელოვანესი საკითხები – დამოუკიდებელი სასამართლო, საპარლამენტო ზედამხედველობა, ხელისუფლების დანაწილება – გადავიდეს მეორე ხარისხოვან დისკუსიაში“.

რაც შეეხება „ქართული ოცნების“ განცხადებას, რომ თუ საქართველო მიიღებს კანდიდატის სტატუსს, შემდეგ გატარდება საკონსტიტუციო ცვლილებები ბარიერის დასაწევად, ბუჩუკი მიიჩნევს, რომ ხელისუფლებამ ეს საკითხი ვაჭრობის თემად აქცია:

„ეს საკითხი, განა, უმნიშვნელოა, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ რომელიმე პოლიტიკური პარტიის ვიწროპარტიული ინტერესი, რომ პარლამენტში მოხვდეს, გაცვალო იმ უმნიშვნელოვანეს საკითხებში, რაზეც უკვე ვისაუბრე.

როგორც კი ევროკომისიის ხელმძღვანელმა 17 ივნისს ბრიფინგი გამართა, რაც უმძიმესი მოსასმენი იყო თითოეული ქართველისთვის, იმავე დღეს, ჩვენმა გუნდმა წარვადგინეთ ჩვენეული ხედვა, კონკრეტული გეგმა, თუ რა გვაქვს შესასრულებელი. იმის ამბიცია არ გვქონდა, რომ მაინცდამაინც ჩვენი გუნდის გეგმაა იდეალური, უბრალოდ, ჩვენი გზა დავსახეთ. ბრიფინგის გარდა, კომუნიკაცია გვქონდა თითოეულ პოლიტიკურ პარტიასთან, გავუზიარეთ ხედვა და ვთხოვეთ ერთად დასხდომა, დროებით პარტიული თემების გადადება და მუშაობა. სამწუხაროდ, „ქართული ოცნებისგან“ უკუკავშირი არ მიგვიღია, შემდეგ ვნახეთ, რომ ზოგი ჩვენი კოლეგა შეუერთდა „ტექნიკური მთავრობის“ მოთხოვნას, რასაც არ ვიზიარებთ, თუმცა ამას არ აქვს ახლა მნიშვნელობა... ჩვენეული ხედვა პირველებმა წარვადგინეთ, რაც პუნქტობრივად იმის პასუხია, რა დავალებაც ევროკავშირისგან მივიღეთ“.

„ვერსია“ სტრატეგია აღმაშენებლის ერთ-ერთ ლიდერ სერგო ჩიხლაძესაც ესაუბრა, რომელიც ოპოზიციისა და არასამთავრობო სექტორის შეხვედრებში მონაწილეობს:

„ვმართავთ შეხვედრებს არასამთავრობო სექტორთან, მათ შეიმუშავეს ხედვა რეკომენდაციის შესრულებისა და გვინდა, გავუზიაროთ ერთმანეთს ჩვენეული დამოკიდებულებები. ჩვენი, საპარლამენტო ოპოზიციის, მოთხოვნა იქნება რიგგარეშე საპარლამენტო სესია, რომელზეც გასასვლელი საკითხებიდან, ერთია საკონსტიტუციო ცვლილებები, რაც თითქმის მიღებულია და ორი დღე სჭირდება ამის გაკეთებას. ასევე, სხვა საკითხებზე ვმსჯელობთ, რაც უნდა გავიდეს რიგგარეშე სესიებზე.

საპარლამენტო საქმიანობიდან გამომდინარე, გადაუდებელია, რომ რიგგარეშე სესიაზე მოხდეს მოკლე ვადაში გარკვეული საკითხების განხილვა და მიღება. მნიშვნელოვანია 12-ვე მიმართულება, უბრალოდ, არის რაღაც, რისი განხილვაც რიგგარეშე სესიებზე სწარაფად შეიძლება მოხდეს და არის საკითხები, რომელთა მომზადებას სჭირდება დრო. პრობლემა ისაა, რომ მმართველი გუნდის თქმით, რიგგარეშე სესიების საჭიროება არ არის, არადა ხუთი თვეა დარჩენილი და პრაქტიკულად, იმას ამბობენ, რომ ორი თვე უნდა დავისვენოთო. რაც შეეხება კობახიძის ბრიფინგს, მან ევროკავშირი დააშანტაჟა, თუ სტატუსს მივიღებთ, შემდეგ გავატარებთ საკონსტიტუციო ცვლილებებსო. არა! ეს პირიქით უნდა მოხდეს, რომ სტატუსი მივიღოთ“.

რაც შეეხება პარლამენტის თავმჯდომარესთან გამართულ შეხვედრას, ჩიხლაძის თქმით, შალვა პაპუაშვილთან შეხვედრის აზრს და რესურსს მის პარტიაში ვერ ხედავენ:

„ეს შეხვედრა დეპოლარიზაციას უნდა შეხებოდა, რაზეც არ გამოცხადდა ჩვენი პარტია, რადგან ნდობა არ არსებობს, არანაირი პოლიტიკური ნება არ უჩვენებია ხელისუფლებას და დეპოლარიზაციაზე მსჯელობა პაპუაშვილთან არის ფასადური ქმედება, რადგან ბატონი პაპუაშვილი არ არის გადაწყვეტილების მიმღები პირი. რაზე უნდა ველაპარაკოთ პაპუაშვილს, რომელიც მდივანს ვერ გაესაუბრება კობახიძის ნებართვის გარეშე? – ეს ხომ ყველამ ვიცით და ამ ცრუქმედებებში შესვლა მიგვაჩნია დროის კარგვად. შედეგიც ვნახეთ, როცა თქვეს, რომ რაღაც კომისიას ქმნიან, რაც აბსურდული იდეაა. ამიტომ ვამბობთ, რომ გადავიდეთ საქმეზე, რაც არის რიგგარეშე სესიების დანიშვნა და სამუშაო პროცესის დაწყება. „სტრატეგია აღმაშენებელში“ ვფიქრობთ, რომ მართლა არ დატოვა სივრცე დიალოგისთვის „ქართულმა ოცნებამ“, მაგრამ როგორც პასუხისმგებლიანი ოპოზიციური საპარლამენტო ძალა, მაინც ვცდით ყველანაირ ბერკეტს, რომ მცდელობა არ დავაკლოთ“.

სერგო ჩიხლაძემ საპარლამენტო ოპოზიციის გეგმებზეც ისაუბრა:

„ჩვენ, პოლიტიკური ძალები, შევქმნით დღის წესრიგს, რომელიც შეიძლება თანხვედრაში იყოს სამოქალაქო სექტორთან და რასაც უახლოეს კვირებში გავასაჯაროებთ. ვსაუბრობთ თითქმის ყველა პროდასავლურ ოპოზიციურ პარტიასთან, გვაქვს კონსულტაციები და გვექნება საერთო თუ დამოუკიდებელი დღის წესირიგი, ამას უახლეს მომავალში გავასაჯაროებთ. საუბარი პოლიტიკურ დღის წესრიგზეა, რომელშიც საპროტესტო აქციაც ჩვეულებრივი კონსტიტუციით გარანტირებული უფლებაა და აქციაც იქნება, სხვა ღონისძიებაც იქნება, საპარლამენტო საქმიანობაც, მედიასთან, დასავლელ პარტნიორებთან ურთიერთობაც იქნება და ა.შ. ძალიან კომპლექსური და მრავალმხრივი გეგმა გვექნება“.

ირაკლი ქადაგიშვილი: „ოპოზიციის მიზანი საქართველოს ევროპული მომავლისთვის კონკრეტული შედეგის დადება არაა!“

თათია გოჩაძე
598-43-50-34

ევროკავშირის კანდიდატი ქვეყნის სტატუსის მისაღებად, 12-პუნქტიანი რეკომენდაციის შესასრულებლად, საქართველოს მმართველ პოლიტიკურ ძალას ვადა დეკემბრამდე აქვს და ხელისუფლებამ უკვე წარადგინა კონკრეტული გეგმა, თუ როგორ აპირებს ყველა სარეკომენდაციო პუნქტის შესრულებას. საპარლამენტო სივრცეში აღნიშნული პროცესი უკვე დაწყებულია, რაშიც ოპოზიციის დიდი ნაწილი არ მონაწილეობს. რას აკეთებს საპარლამენტო უმრავლესობა ევროკავშირის რეკომენდაციების შესასრულებლად? – „ვერსია“ უმრავლესობის დეპუტატ ირაკლი ქადაგიშვილს ესაუბრა:

„ვერავინ ვერავის ვერაფერს გადააბარებს, ხელისუფლების ერთადერთი გადამბარებელი ძალა ხალხია“

– პარლამენტის მიერ 12-პუნქტიანი რეკომენდაცია-გეგმის დიდი ნაწილი შესასრულებელია. ამასთან დაკავშირებით, ხელისუფლებამ უკვე წარმოადგინა კონკრეტული სამოქმედო გეგმა, სადაც თითოეული რეკომენდაციის შესახებ ნათქვამია, თუ რა სამუშაოა შესასრულებელი და გაწერილია ვადები, როდის უნდა მომზადდეს შესაბამისი კანონპროექტები, ცვლილებები კანონებში და როდის უნდა მოხდეს ამ კანონპროექტების მიღება პარლამენტის მიერ. ეს პროცესი უნდა დასრულდეს დეკემბრის პირველი ნახევრისთვის. აქედან გამომდინარე, კომიტეტების დონეზე, ეს სამუშაო დაწყებულია, ინტენსიურად მიმდინარეობს და ყველა ძირითადი კომიტეტი, რომელიც ჩართულია, ამ მიმართულებით მუშაობს. ამასთან, რა თქმა უნდა, ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია, რომ პროცესი იყოს ინკლუზიური ანუ ჩართულობა იყოს მაქსიმალური, ამიტომ მივმართავთ ყველა პოლიტიკურ ჯგუფს პარლამენტში, მაქსიმალურად ჩაერთოს. ამისკენ მოვუწოდებთ სამოქალაქო სექტორს და დარგის ექსპერტებსაც. ეს პროცესი აქტიურად მიმდინარეობს პარლამენტში და თითქმის ყოველი დღე ამ საკითხებზე მუშაობას ეძღვნება, რათა საშემოდგომო სესიისთვის უკვე გვქონდეს პროფესიულ ანალიზზე დამყარებული საკანონმდებლო ცვლილებათა პაკეტები, რათა პარლამენტმა საშემოდგომო სესიის მსვლელობისას, შესაბამისი ცვლილებების გატარება შეძლოს.

– ბატონო ირაკლი, მიუხედავად იმისა, რომ რეკომენდაციის პირველივე პუნქტი პოლარიზაციის დასრულებას გულისხმობს, საპარლამენტო ოპოზიციის დიდი ნაწილი, ხელისუფლებასთან ერთად, ამ პროცესში ჩართვაზე უარს აცხადებს და დამოუკიდებელ პლატფორმას ქმნის გეგმაზე სამუშაოდ. ამას როგორ აფასებთ?

– მკითხველმა რომ გაიგოს, ავხსნი – ამ საკითხების გადაწყვეტას სჭირდება საპარლამენტო უმრავლესობა, რომელიც გააჩნია ხელისუფლებას და ხელისუფლებასთან ერთად უნდა მოხდეს ამ საკითხებზე შესაბამისი ცვლილებების მიღება. მათ ცალკე მუშაობას, ტექნიკური თვალსაზრისით, შედეგი ვერ ექნება, პარლამენტში ვერც ერთ კანონს ვერ გაიტანენ, რადგან არ აქვთ უმრავლესობა. მეორე მხრივ, ასახსნელია, რეალურად რა ამოძრავებთ – მათი მიზანი სულაც არ არის საქართველოს ევროპული მომავლისთვის რამე კონკრეტული შედეგის დადება. მათი მიზანია, ევროპის დროშით სპეკულირება, მაქსიმალურად დააზიანონ საქართველოს ინტერესი და ამით გამოიწვიონ უკმაყოფილება საზოგადოებაში, ამას მოჰყვეს რევოლუციური სცენარების განვითარება და ასეთი გზით ხელისუფლების ხელში ჩაგდება ანუ მათი მიზანი ისევ ისაა, რაც ბოლო წლებში იყო, რომ რამენაირად, მოახდინონ რევოლუციური სცენარის ინსცენირება და ხელისუფლება ჩაიგდონ ხელში. ამისთვის იყენებენ ყველაფერს, სწირავენ ყველაზე მნიშვნელოვან მიზნებსაც კი ჩვენი ქვეყნისა, მათ შორის, ევროკავშირის კანდიდატი ქვეყნის სტატუსის მინიჭებასაც. რადიკალური ოპოზიციის – ნაციონალური მოძრაობის, „ლელოსა“ და გიორგი ვაშაძის პარტიის ეს უპირობო უარი განპირობებულია სწორედ ამ მიზნით ანუ არავითარი საქმიანი და მორალური პასუხისმგებლობა იმასთან დაკავშირებით, რომ საქართველომ ამ გზაზე წარმატებას მიაღწიოს, მათ არ გააჩნიათ. დღესაც იმავეს აკეთებენ, რომ რამენაირად ქვეყნის ეს ინტერესი დაზიანდეს და ამით ისარგებლონ, ესაა მათი რეალური სახე.

– ოპოზიციაში, რომელზეც საუბრობთ, ამბობენ, რომ ხელისუფლების გეგმა ფასადური „ბუტაფორიაა“ და სინამდვილეში, არ ემსახურება ევროკავშირის რეკომენდაციების შესრულებას...

– ამ ადამიანებს საუბარიც კი არ უნდათ და პირდაპირ აცხადებენ „არა“-ს. მათ არ ჰყოფნით უნარი, რომ საქმესთან დაკავშირებით პროფესიონალურად ისაუბრონ, რადგან ყველა მათი კრიტიკა საქმიანი არაა და აგებულია, ძირითადად, პოპულიზმსა და უსაფუძვლო ლოზუნგებზე. მაგალითად, სასამართლოს საკითხი ყველაზე ყბადაღებული თემაა და ზოგადად, ადვილია ცუდის თქმა, ნეგატივის დაჯერება, მაგრამ არსებობს კონკრეტული კანონები, სტატისტიკა, გამოცდილება და საკანონმდებლო კუთხით თუ შევხედავთ, იმდენად მნიშვნელოვანია პროგრესი იმასთან შედარებით, რაც მათი მმართველობის დროს იყო სასამართლო სისტემაში, რომ ამის დაუნახაობა, უბრალოდ, შეუძლებელია. იმას კი არ ვამბობთ, რომ კარგადაა ყველაფერი, არამედ ვამბობთ, რომ პროგრესი არსებობს და შემდეგი ნაბიჯები ერთად უნდა გავიაროთ, მაგრამ ამაზეც ვერ მოდიან სალაპარაკოდ. არც ერთ საკითხზე საქმიანი, კონსტრუქციული წინადადების შემოთავაზება არ შეუძლიათ. ეს რომ შეეძლოთ, ამ პროცესში ჩაერთვებოდნენ. ვიმეორებ, მათთვის ის, რომ „ქართული ოცნების“ პირობებში, მორიგ ჯერზე, საქართველომ წარმატებას მიაღწიოს ქვეყნის შიგნით ეკონომიკაში, დემოკრატიული უფლებების დაცვასა თუ ევროკავშირში ინტეგრაციის გზაზე, მიუღებელია. მენტალურად ვერ წარმოუდგენიათ, რომ მათ გარდა, ხელისუფლებაში ვინმე უნდა იყოს, მით უმეტეს, თუ „ოცნება“ რამე წარმატებას მიაღწევს, ფიქრობენ, რომ ამით მათი პოლიტიკური მიზნები საბოლოოდ აუსრულებელი გახდება. ამ ეგოისტური პოზიციიდანაა მთელი მათი რიტორიკა...

– მნიშვნელოვანია ოპოზიციის განცხადებები, მაგრამ უფრო მნიშვნელოვანი და გადამწყვეტია ხალხის განწყობა და ალბათ, დამეთანხმებით, რომ 20 ივნისს გამართული აქცია ძალიან მასშტაბური აღმოჩნდა. თუ სექტემბრიდან განახლდება აქციები, ამ პროტესტს როგორ უპასუხებს მმართველი ძალა?

– რა თქმა უნდა, ბევრმა ადამიანმა თავისი პოზიცია დააფიქსირა 20 ივნისს, როცა უთხრეს, ეს მიტინგი ემსახურება იმას, რომ ევროპას დავანახოთ ქართველი ხალხის სურვილი ევროკავშირში გაწევრიანებასთან დაკავშირებითო და ხალხმა ეს მოწოდება გულწრფელად მიიღო, მაგრამ როგორც კი ეს შემდეგ გადაიზარდა რევოლუციურ გეგმაში, რომ ხელისუფლება უნდა წავლეკოთ და გაუგებარი „ტექნიკური მთავრობა“ მოვიყვანოთო, დავინახეთ, რომ ამ მოწოდებამ მხარდამჭერები დაკარგა და ეს რევოლუციური სცენარი არ განვითარდა. აქედან გამომდინარე, ადამიანებმაც კარგად იციან, ხალხის სურვილი ევროკავშირთან და ნორმალურ, ცივილიზებულ სამყაროში ცხოვრებასთან დაკავშირებით, ჩვენი ბუნებრივი მოთხოვნა რომაა. ამას ბევრი ფიცი-მტკიცი არ სჭირდება, მაგრამ მოსახლეობამ ისიც იცის, რომ რევოლუციური სცენარები და ნაციონალური პარტიის მმართველობა ვერასდროს მიგვიყვანს ამ მიზნამდე და საქართველოს ისევ არასტაბილურობის, ქაოსისა და ომის ვითარებაში გადაიყვანს. ყველაფერი ეს ღიად ჩანს მათი მოწოდებებიდან; უკრაინა-რუსეთის ამ აგრესიის პირობებში მცდელობიდან, რომ საქართველო ამ ომში ჩართონ, რაც მათი გაგებით, ნიშნავდა იმას, რომ საქართველო ამ ომში დამარცხდებოდა და ეს შეიძლება, ყოფილიყო ხალხში ახალი უკმაყოფილებისა და მათი ხელისუფლებაში დაბრუნების საბაბი. რადგან ისინი მიიჩნევენ, რომ 2008 წლის მარცხმა განაპირობა ის, რომ მათ მომდევნო წლებში ხელისუფლება დაკარგეს. ამიტომ მათი გათვლები ამ ეგოსიტურ მიზნებს უკავშირდება და ხალხსაც ესმის ეს ძალიან კარგად, მათ შორის, მათაც, რომლებსაც სურთ საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაცია და აქედან გამომდინარე, ხალხი მათ გეგმებს არ აჰყვება.

– ბატონო ირაკლი, წეღან თქვით, ოპოზიცია მენტალურად ვერ ეგუება სხვა პოლიტიკური ძალის ყოფნას ხელისუფლებაშიო და ალბათ, დამეთანხმებით, რომ დემოკრატიულობის პრინციპი სწორედ ხელისუფლებათა ცვლილებას გულისხმობს, გარკვეული პერიოდის შემდეგ... იმის გათვალისწინებით, რომ თქვენი პოლიტიკური ძალა უკვე 10 წელია, მმართველობაშია, თუ გაქვთ გააზრებული და მსჯელობთ იმაზე, რომ დადგება დრო, როცა უნდა გადააბაროთ ქვეყნის მართვა სხვა პოლიტიკურ ძალას ან ძალებს?

– რადგან დემოკრატია ახსენეთ, მინდა, სწორად იყოს გაგებული, რაც ვთქვი. ვერ ეგუებიან სხვა ძალის მმართველობას – ე.ი. ვერ ეგუებიან იმას, რომ დემოკრატიული წესით ვერ ცვლიან ხლეისუფლებას. ვერავინ ვერავის ვერაფერს გადააბარებს, ხელისუფლების ერთადერთი გადამბარებელი ძალა არის ხალხი, რომელმაც კონსტიტუციით, ეს არჩევნებზე უნდა აღასრულოს ანუ ვისაც დაუჭერს არჩევნებზე ხალხი მხარს, ის გადაიბარებს ძალაუფლებას. რადგანაც არჩევნებით ვერ იბარებენ ხელისუფლებას, ამიტომ აქვთ სულ ამ რევოლუციების იმედი. უნდა შეეგუოს ყველა, შიგნითაც და გარეთაც, რომ ამის თვლა, შენ მესამედ მოხვედი თუ მერამდენედ... ევროპასა და ამერიკაში პოლიტიკური ძალები ათეული წლების განმავლობაში არიან ხელისუფლებაში, ხან ჩაენაცვლებიან ერთმანეთს და ნურავის უკვირს ის, თუ ამომრჩეველი რომელიმე პოლიტიკურ ძალას მესამედ დაუჭერს მხარს, ეს არის დემოკრატიული პროცესი. საქართველოში დღეს როგორი საარჩევნო სისტემა, მედიაპლურალიზმი, ბიზნესის თავისუფლებაცაა, ასეთი თავისუფალი გარემო არასდროს ჰქონია. ვისაც ელემენტარული მახსოვრობა აქვს, ხედავს ამას, რა იყო ადრე და სად ვართ დღეს.

არამიზნობრივად გაფლანგული საბიუჯეტო სახსრები სოფლის განვითარების სააგენტოში

მაკა რუხაძე

რა ხარვეზები გამოავლინეს სახელმწიფო აუდიტორებმა სახელმწიფო პროგრამის „დანერგე მომავალი“ ფარგლებში

სახელმწიფო აუდიტის სამსახური სოფლის განვითარების სააგენტოს სახელმწიფო პროგრამით დაინტერესდა. აუდიტის დასკვნა, რომელიც უწყების ვებ-გვერდზე გამოქვეყნდა, ეხება პროგრამას „დანერგე მომავალი“. კერძოდ, ესაა 2018-2020 წლების შესაბამისობის აუდიტი, სადაც სახელმწიფო მაკონტროლებლებმა სხვადასხვა სახის დარღვევები გამოავლინეს, როგორც პროგრამის მართვის პროცესში, ასევე, მრავალწლიანი ბაღებისა და სანერგე მეურნეობების თანადაფინანსების კომპონენტებში.

ხარვეზები პროგრამის მართვის პროცესში

სახელმწიფო აუდიტის შედეგად გაირკვა, რომ დადგენილი წესის შესაბამისად, ააიპ სოფლის განვითარების სააგენტომ სრულყოფილად შევსებული ბენეფიციარების განაცხადების რეესტრი ვერ წარადგინა. სახელმწიფო აუდიტორების მტკიცებით, ეს არ შეესაბამება პროგრამის ფარგლებში დამტკიცებულ პროცედურებს და სათანადოდ ვერ უზრუნველყოფს განაცხადების მიღებისა და დამუშავების პროცესის გამჭვირვალობას.

„ცალკეულ შემთხვევებში, ბენეფიციარების განაცხადების დახარვეზების პროცესი არათანმიმდევრული მიდგომით გამოირჩევა. კერძოდ, კენკროვანების ქვეკომპონენტში შესწავლილი 77 ხელშეკრულებიდან ცხრა შემთხვევაში, დახარვეზების მიუხედავად, პოტენციური ბენეფიციარების განაცხადების განხილვა იმავე სარეგისტრაციო ნომრით, რიგის ბოლოში გადანაცვლების გარეშე გაგრძელდა. სხვა ანალოგიურ შემთხვევებში, განაცხადებს ხარვეზების აღმოფხვრის შემდეგ მინიჭებული აქვთ ახალი სარეგისტრაციო ნომრები. ასევე, განაცხადების დახარვეზების მიზეზების მხრივ, არათანმიმდევრული მიდგომაა ცალკეული კომპონენტის მიხედვით. მაგალითად, მრავალწლიანი ბაღების კომპონენტში, განაცხადები დახარვეზებულია მათში არსებული ტექნიკური უზუსტობების გამო. ყოველივე ეს, ბენეფიციართა მიმართ არაერთგვაროვანი მიდგომის რისკებს ზრდის“, – ვკითხულობთ აუდიტის დასკვნაში.

აუდიტორებმა ისიც გაარკვიეს, რომ მთავრობის დადგენილებით დამტკიცებული ნორმების აღსრულების მიზნით, სააგენტომ დროულად არ განახორციელა შესაბამისი ღონისძიებები. კერძოდ, 2019 წლის 16 მაისიდან 2020 წლის 11 მარტამდე, სააგენტოს არ დაუმტკიცებია საყრდენი ბოძებისა და სეტყვის საწინააღმდეგო ბადეების ტექნიკური მახასიათებლები და ფასები. შესაბამისად, ამ პერიოდში, ბენეფიციარები მოკლებულნი იყვნენ ფინანსური დახმარების მიღების შესაძლებლობას.

ხარვეზები მრავალწლიანი ბაღების კომპონენტში

სახელმწიფო აუდიტორებმა გაარკვიეს, რომ სოფლის განვითარების სააგენტომ ვერ უზრუნველყო კენკროვანი კულტურების ნერგების მიმწოდებლების ვალდებულებების შესახებ ბენეფიციარების ინფორმირება. არადა, საკუთარი უფლებამოსილების შესახებ ბენეფიციარების დროული ინფორმირება ხელს შეუწყობდა პროგრამის ფარგლებში გაწეული ხარჯების პროდუქტიულობისა და ეფექტიანობის ზრდას. გარდა ამისა, ორ შემთხვევაში, ბენეფიციარების განმარტება არ შეესაბამებოდა მათ მიერ წარდგენილ, ნერგების მიმწოდებელთან გაფორმებულ მიღება-ჩაბარების დოკუმენტაციას.

აუდიტის შედეგად გაირკვა, რომ 20 თვემდე პერიოდის განმავლობაში, პროგრამით გამიჯნული არ იყო ფსტის კულტურის დამყნობილი და დაუმყნობელი ნერგების კატეგორიები და მათი შესაბამისი ტარიფები, რომლებიც მნიშვნელოვნად განსხვავდება, რაც მიუთითებს დოკუმენტაციის მომზადების პროცესში არსებულ ხარვეზზე.

„შედეგად, სააგენტომ ერთი ბენეფიციარი დააფინანსა 73 500 ლარით გაზრდილი ოდენობით. აღნიშნული თანხა ბენეფიციარს ნერგების დამყნობის შემდეგ უნდა ჩათვლოდა, რაც 2021 წლის 25 ნოემბრის მდგომარეობით, არ განხორციელებულა. ბენეფიციარის მიერ წარდგენილი განაცხადის განხილვის პროცესში დაშვებული ხარვეზის გამო, თანადაფინანსება გაიცა დადგენილ ნორმებთან შეუსაბამოდ. ამის შედეგად, ბენეფიციარს ჩაერიცხა დადგენილ ოდენობაზე 7 949 ლარით მეტი. გამოვლენილ შეუსაბამობასთან დაკავშირებით, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ, მოთხოვნილი განმარტების შემდეგ, სააგენტომ ბენეფიციარს 2021 წლის 4 ნოემბერს, ბიუჯეტში 7 949 ლარი დააბრუნებინა“.

გარდა ამისა, სახელმწიფო აუდიტორებმა ისიც გაარკვიეს, რომ ორი წლის განმავლობაში, სოფლის განვითარების სააგენტო არ ფლობდა ინფორმაციას გაცემული თანადაფინანსების მიზნობრივად გადარიცხვის თაობაზე, რაც მიუთითებს შესაბამისი კონტროლის მექანიზმების სისუსტეზე. სააგენტოს მიერ მოთხოვნილი არ იყო დაფინანსების მისაღებად წარსადგენი ერთ-ერთი აუცილებელი ცნობა დავალიანების არარსებობის შესახებ. ეს მიუთითებს განაცხადის განხილვის პროცესში დაშვებულ ხარვეზზე.

ბენეფიციარების დაფინანსების პროცესში, გადაწყვეტილების მიღებისას, სააგენტო არ ითვალისწინებდა პროგრამით განსაზღვრულ, ნერგებს შორის დაშორების სარეკომენდაციო არეებს. შესწავლილი 321 ხელშეკრულებიდან, ნერგების რაოდენობები 31 შემთხვევაში სარეკომენდაციო რაოდენობებს აღემატება 20%-დან 240%-მდე, რამაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს პროგრამის მიზნების მიღწევაზე.

ხარვეზები სანერგე მეურნეობების თანადაფინანსებაში

სახელმწიფო აუდიტორებმა გაარკვიეს, რომ ერთი ბენეფიციარის შემთხვევაში, სანერგე მეურნეობის

დასასრული მე-8 გვერდზე

არამიზნობრივად გაფლანგული საბიუჯეტო სახსრები სოფლის განვითარების სააგენტოში

მე-7 გვერდიდან

მოწყობასთან დაკავშირებით, არ ყო წარდგენილი ვალდებულებების შესრულების დამადასტურებელი ექსპერტის დასკვნები. ასევე, ორი ბენეფიციარის შემთხვევაში, მიწის ნაკვეთები დატვირთულია იპოთეკით, რაც საბანკო დაწესებულების მიმართ ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში, ქმნის აღნიშნული მიწის ნაკვეთის მესაკუთრის ცვლილებისა და, შესაბამისად, პროფილის ცვლილების რისკს. ამასთან, ორი იდენტური სანერგე მეურნეობის შემთხვევაში, 1 კვ.მ-ზე გახარჯულად ნაჩვენები მასალების დანახარჯები მნიშვნელოვნად განსხვავდება, რაც ჯამურ ღირებულებაში 132 672 ლარის სხვაობას წარმოშობს.

„პროგრამით მისაღები შედეგების მაქსიმალურად მისაღწევად, მნიშვნელოვანი ფაქტორია, რომ ნერგები აგროვადებში გაშენდეს. ეს შესაძლებელია დადასტურდეს დროული აუდიტორული პროცედურებით. რიგ შემთხვევებში, აუდიტი განხორციელდა აგროვადების გასვლიდან მნიშვნელოვანი პერიოდის შემდეგ. შესაბამისად, აუდიტორული დასკვნები ვერ უზრუნველყოფს რწმუნებას იმის შესახებ, დარგულია თუ არა ნერგები შესაფერის აგროვადებში. ამასთან, მთავრობის დადგენილების თანახმად, 2019 წლის 25 ოქტომბრამდე პერიოდში საველე მონიტორინგი სავალდებულო იყო ყველა დაკმაყოფილებული განაცხადისთვის, რასაც სააგენტო რიგ შემთხვევებში ვერ ახორციელებდა. შერჩეული 140 ხელშეკრულებიდან 10 შემთხვევაში, სააგენტომ ვერ წარადგინა სავალდებულო მონიტორინგის დამადასტურებელი დოკუმენტაცია. ხოლო, ხუთ შემთხვევაში მონიტორინგი ჩატარებულია აუდიტის ჯგუფის მიერ არსებული შეუსაბამობის გამოვლენის შემდეგ. ამ 15 ხელშეკრულების თანადაფინანსების საერთო ღირებულება 1 267 769 ლარია“.

2019 წლის აგვისტომდე, კენკროვნების ქვეკომპონენტში ბენეფიციარის მიერ მასალების მონტაჟის მონიტორინგი არ ხდებოდა მონიტორინგის სათანადო ინსტრუმენტის არარსებობის გამო. ასევე, კენკროვნების ქვეკომპონენტის ფარგლებში გამოყენებული საველე მონიტორინგის მეთოდოლოგია არ ითვალისწინებდა ბაღის გაშენებისთვის საჭირო მასალებთან დაკავშირებით შემოწმების წესს. აღნიშნული მეთოდოლოგიით არ იყო ნათლად განსაზღვრული ხელშეკრულების შესრულებულად მიჩნევის კრიტერიუმები, რაც იძლეოდა არაერთგვაროვანი გადაწყვეტილებების მიღების შესაძლებლობას. ცხრა ბენეფიციართან დაკავშირებით, რომელთა დაფინანსების ჯამურმა თანხამ 85 485 ლარი შეადგინა, საველე მონიტორინგის ჯგუფის დასკვნები ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შესახებ, არ შეესაბამებოდა საველე მონიტორინგის მეთოდოლოგიას და დასკვნაში მოცემულ ფაქტობრივ გარემოებებს. მიუხედავად ამისა, აღნიშნული დასკვნების საფუძველზე ბენეფიციარებმა დაფინანსებები მიიღეს.

ისიც აღსანიშნავია, რომ სააგენტოს მიერ არ არის გათვალისწინებული კვლევითი ცენტრის მიერ გაცემული რეკომენდაცია გარკვეული კატეგორიის ბაღებში გაძლიერებული მონიტორინგის ჩატარების



შესახებ, რაც ქმნის ბენეფიციარების ინტერესების დაუცველობისა და სახსრების არაეფექტიანი ხარჯვის რისკს. მეტიც, ცალკეულ შემთხვევებში, სააგენტომ ვერ წარადგინა განმეორებითი მონიტორინგის ამსახველი დოკუმენტები. გარდა ამისა, რიგ შემთხვევებში, სააგენტოს სპეციალურმა კომისიამ დააკმაყოფილა ბენეფიციარების მოთხოვნები ვალდებულებების შესრულების ვადების გაგრძელების შესახებ, თუმცა გადაწყვეტილება განმეორებითი მონიტორინგის ჩატარების შესახებ არ იქნა მიღებული.

„აუდიტორული ჯგუფის შერჩევით, მნიშვნელოვანი რისკების მქონე ბაღები ადგილზე, ვიზუალურად დაათვალიერეს. შედეგად გაირკვა, რომ 2018-2020 წლებში, მოქმედი ხელშეკრულებების ფარგლებში, 1 332 366 ლარით დაფინანსებულ 15 ბაღში ნერგების 100% გამხმარია. ამასთან, 10 ბაღის შემთხვევაში, რომლებიც ჯამურად დაფინანსდა 733 291 ლარის ოდენობით, ნერგების გარკვეული ნაწილი გამხმარია, ხოლო 3 115 975 ლარით დაფინანსებულ 36 ბაღში – ნერგების არსებითი ნაწილი გახარებულია.

პროგრამის ბიუჯეტის დაგეგმვა, შესრულება და ანგარიშგება

სოფლის განვითარების სააგენტომ აუდიტორებს ვერ წარუდგინა 2018-2020 წლების საბიუჯეტო განაცხადების დეტალური გაანგარიშებები. 2018-2020 წლებში, ქვეპროგრამის საბიუჯეტო რესურსი იგეგმებოდა ხარვეზებით, კერძოდ, თავდაპირველად ჯამურად დამტკიცებული 34 000 000 ლარის ასიგნებები დაზუსტდა 46 368 500 ლარამდე, ხოლო ამავე პერიოდში გაფორმებული ხელშეკრულებების ღირებულებამ 60 609 693 ლარი შეადგინა.

„2018-2020 წლებში, სააგენტოს მიერ ბენეფიციარებთან ხელშეკრულებების გაფორმება ხორციელდებოდა დაზუსტებული საბიუჯეტო ასიგნებების ამოწურვის პირობებში, რის გამოც ხდებოდა კანონმდებლობით გაუთვალისწინებელი ფინანსური ვალდებულებების ფაქტობრივი აღიარება. შედეგად, ასეთი წესით, ბენეფიციარებთან გაფორმებულმა ხელშეკრულებების ღირებულებამ 2018 წელს – 2 360 235 ლარი, 2019 წელს – 414 403 ლარი, ხოლო 2020 წელს – 11 466 555 ლარი შეადგინა“.

მთავრობის დადგენილებით, 2020 წლის 5 მარტს განხორციელებული ცვლილების შესაბამისად, 2020 წლის 11 მარტიდან, სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებებით, კახეთის რეგიონში საღვინე ვაზის ნერგების შეძენისა და სარწყავი სისტემის მოწყობის ხარჯები არ უნდა დაფინანსებულიყო, თუმცა სააგენტომ მთავრობის დადგენილებების მოთხოვნებთან შეუსაბამოდ, სამი ბენეფიციარი, ჯამში – 294 800 ლარით დააფინანსა, რაც არამიზნობრივი ხარჯია. ამასთან, ვიზუალური დათვალიერებით გაირკვა, რომ 239 221 ლარით დაფინანსებულ ბაღში, საღვინე ვაზის ნერგების 100% გამხმარია.

„ბენეფიციარს სააგენტოს პროექტების განმხილველი კომისიის მიერ, თანხის ანაზღაურებიდან ერთი წლის შემდეგ, დაეკისრა 73 500 ლარის ბიუჯეტში დაბრუნება, თუმცა სააგენტოს მიერ აღნიშნული თანხა არ იყო აღრიცხული მოთხოვნების შესაბამის საბალანსო ანგარიშზე და არც ხაზინის ანგარიშზე დაუბრუნებიათ. ვალდებულებების შეუსრულებლობის მიუხედავად, საბიუჯეტო რესურსი ორ წელზე მეტი ხნის განმავლობაში ირიცხება და განიკარგება მიმწოდებელი კომპანიის მიერ. გარდა ამისა, ორი ბენეფიციარის შემთხვევაში, ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობისთვის სააგენტოს მიერ შესაბამისი ღონისძიებები არ არის განხორციელებული, ვინაიდან სააგენტოს მიერ მონიტორინგი არ ჩატარებულა“.

სახელმწიფო აუდიტორებმა ისიც გაარკვიეს, რომ ოთხი ბენეფიციარის შემთხვევაში, სააგენტოს სპეციალური კომისიის მიერ, სხვადასხვა დროს განხორციელდა თანადაფინანსების სრული მოცულობით პირგასამტეხლოს დაკისრება, თუმცა შემდგომ პერიოდებში, იმავე კომისიის მიერ, შესაბამისი საჯარიმო სანქციების დაკისრების გარეშე, გაუქმდა აღნიშნული პირგასამტეხლოები და ახალი ვადები განისაზღვრა.

სოფლის განვითარების სააგენტო

სამართალი

№27 13 ივლისი 2022 წ

ვინ და რატომ სცემა ქართველ „კანონიერ ქურდს“ სტამბულში

ონიანისა და ლავას ოღლის ომი გრძელდება – ქურდული სამყარო დიდი გარჩევის მოლოდინშია

ბათო ჯაფარიძე

მაშინ, როცა მთელი მსოფლიო კორონავირუსის ახალი ტალღის მოლოდინშია და, რაღა თქმა უნდა, მთავარი თემა უკრაინა-რუსეთს შორის მიმდინარე ომია, კრიმინალური სამყარო თავისი ცხოვრებით ცხოვრობს და ცდილობს, ყველაფერ ამისგან სარგებელი მიიღოს. პირბადეების სავალდებულო ტარებამ კრიმინალურ დაჯგუფებებს არაერთი სარგებელი მოუტანა – ისინი მარტივად ქურდობდნენ, ძარცვავდნენ, ყაჩაღობდნენ და მათი იდენტიფიცირება შეუძლებელი ხდებოდა, რადგან პირბადეაფარებული ადამიანების უმეტესობა ერთმანეთს ჰგავს.

ციხიდან ტარიელ ონიანის გამოსვლის შემდეგ, ე.წ. კანონიერ ქურდებს შორის, გავლენის სფეროების ახალი გადანაწილება დაიწყო და, რაღა თქმა უნდა, ამ ამბავში ონიანი სრულადაა ჩართული. ერთი ეგაა, ახალი თაობის ქურდებს, მათ, რომლებმაც სახელი და გავლენა სწორედ მაშინ მოიპოვეს, როცა ონიანი ცხრაწლიან სასჯელს იხდიდა, მონაპოვრის დათმობა ცოცხალი თავით არ სურთ, რაც თავის მხრივ, ძველი თაობის ქურდებს არ მოსწონთ. სწორედ ამის ნიადაგზე, დაახლოებით, ერთი თვის წინ, კონფლიქტი ონიანსა და მინდია გორაძეს, იგივე, ლავას ოღლის მოუხდათ. მათ შორის დაპირისპირებამ იმდენად დიდი მასშტაბები მიიღო, რომ ასე განსაჯეთ, გაგრძელება ქართულ ციხეებში ჰპოვა – ცალკე ონიანის სანაცნობო თუ სამეგობრო იწევდა გორაძის „სასტავზე“ და ცალკე, არანაკლებ გავლენიანი, ე.წ. კანონიერი ქურდის, მერაბ ჯანგველაძის წრე ცდილობდა გორაძის მეგობრებისთვის ზიანის მიყენებას. ასეა თუ ისე, ქართულ ციხეებში სიტუაცია დალაგდა, თუმცა კრიმინალური სამყარო დიდი გარჩევის მოლოდინშია.

როგორც გვიყვებიან, მინდიამ ტარიელ ონიანზე დასარტყმელადაც გაიწია, რასაც მისი მხრიდან მძაფრი რეაქცია აუცილებლად მოჰყვება. ონიანის მხარემ უკვე დააანონსა დიდი „სხადნიაკი“, რომელიც წესითა და რიგით, ამ თვეში უნდა გამართულიყო, მაგრამ ამბობენ, რომ სექტემბრისთვის გადაიწია, რადგან ტარიელს სურს, კარგად მოემზადოს და პრეტენზია არა მარტო გორაძეს, არამედ, კიდევ რამდენიმე ახალგაზრდა „კოლეგას“ წაუყენოს და ისინი სტატუსის გარეშე დატოვოს.

ახალგაზრდებმა საქმეში რუსეთის ციხეში მყოფი შაქრო კალაშოვიც ჩართეს,რომელიც ონიანის მხარეს არაფრის დიდებით დაიჭერს და საშემოდგომოდ დიდი ამბები გველოდება. მანამდე კი...

6 ივლისს, თურქეთში, სასტუმრო „მარინ პრინცესის“ ფოიეში, „კანონიერი ქურდები“ – ნუგზარ ტორჩინავა (მეტსახელად, „ტორჩიკა“) და გიორგი ჯანელიძე (მეტსახელად, „გოგი პიტერსკი“) ისვენებდნენ. მოულოდნელად, მათ ორი ნიღბიანი მიუახლოვდა. თავდამსხმელებს ხელზე კასტეტები ეკეთათ და ისინი თავს ჯანელიძეს დაესხნენ. წინააღმდეგობის გაწევა ორივე „კანონიერმა ქურდმა“ სცადა, მაგრამ თავდასხმა იმდენად მოულოდნელი იყო, ამ საქმიდან არაფერი გამოვიდა. მსუბუქად გაილახა ტორჩინავა და ძალიან მძიმედ იცემა ჯანელიძე. როგორც ჩანს, თავდამსხმელებს აქცენტი სწორედ მასზე ჰქონდათ გაკეთებული, მაგრამ...

როგორც გვიყვებიან, 46 წლის ჯანელიძე, ერთ-ერთი იმ იშვიათთაგანია, რომელსაც სხვა „კანონიერ ქურდებთან“ კონფლიქტი, უბრალოდ, არ აქვს, ამიტომ ყველასთვის გაუგებარია, ვის შეიძლებოდა გაემეტებინა ასე ჯანელიძე. არ გამორიცხავენ, რომ სიტუაციის არევის მიზნით, ეს ერთ-ერთ „კანონიერ ქურდს“ ჩაედინა, რათა კრიმინალურ სამყაროში გაურკვევლობა შეეტანა და მხარეებს ერთმანეთის მიმართ ნდობა დაეკარგათ.

ეს, რაც შეეხება საქართველოს საზღვრებს გარეთ „მოღვაწე“ კრიმინალებს. აი, ქვეყნის შიგნით კი... ორ კვირაზე მეტი გავიდა, რაც ბაგებში ბიზნესმენი ლევან კაჭარავა ჩაცხრილეს, თუმცა ეს ამბავი თითქოს არც მომხდარა. სამართალდამცავებმა გამოძიება დაიწყეს და ახალი რომ არაფერია, აშკარად ჩანს. როგორც გავიგეთ, ასამდე სამართალდამცავმა მეორე დღეს ახლომდებარე ტყეები მოჩხრიკა, მოსახლეობას კი უთხრეს, სავარაუდო მკვლელს ვეძებთო (რითაც მათი გულისწყრომა გამოიწვიეს), რეალურად კი ეძებდნენ იარაღს, რომელიც ქილერმა ადგილზე არ დატოვა. არსებობდა ვერსია, რომ ქილერმა იარაღი ტყის სიღრმეში შეიტანა და იქ დააგდო, მაგრამ ავტომატი ვერ იპოვეს.

მკვლელობის შემკვეთს (და არა შემსრულებელს) ეძებს კაჭარავას სამეგობროც, მაგრამ დამაიმედებელი სიახლე არც ამ მიმართულებითაა. ვერავინ ამბობს კონკრეტულად, რა შეიძლება გამხდარიყო კაჭარავას მკვლელობის მიზეზი.

ბევრს აქვს ვერსია, რომ ცნობილ ბიზნესმენზე წარსულში, კონკრეტულად კი, 90-იანებში მომხდარი ამბების გამო, ახლა იძიეს შური, მაგრამ მისი უახლოესი გარემოცვა ამასაც გამორიცხავს, რადგან თუ ვინმე იყო დაპირისპირებული მაშინ კაჭარავასთან, ან შერიგებულია, ან მათი ნაწილი, უბრალოდ, ცოცხალი აღარაა.

ერთ-ერთმა სააგენტომ გაავრცელა ინფორმაცია, რომ კაჭარავას მკვლელობა არცთუ დიდი ხნის წინ მომხდარი ნიკა კვარაცხელიას მკვლელობის გაგრძელებაა. თითქოს, კვარაცხელიას მკვლელობისთვის გასამართლებულებს, სომხეთში წასვლის ფული, სწორედ კაჭარავასგან ჰქონდათ მიღებული, მაგრამ რეალობასთან ახლოს არც ეს ვერსიაა. თანაც, კვარაცხელიების ოჯახმა არაერთხელ დააფიქსირა, რომ შურისძლებას არ აპირებენ და შესაბამისად, კაჭარავას საქმესთან კავშირი კატეგორიულად გამორიცხა.

კვარაცხელიების მხრიდან შურისძიებას გამორიცხავს გარდაცვლილი ბიზნესმენის სამეგობროც და უფრო სხვა მიმართულებებზე მუშაობს. როგორც გვეუბნებიან, იმავე მიმართულებაზე ფიქრობენ სამართალდამცავებიც, თუმცა ჯერ კონკრეტული არაფერია და ორივე მხრიდან დუმილიც ამის მომასწავებელი გახლავთ.

რაც შეეხება კრიმინალს, როგორც მოსალოდნელი იყო, წვრილ-წვრილმა დანაშაულმა ზღვისპირეთში გადაინაცვლა. აჭარის რეგიონში არცთუ იშვიათად ფიქსირდება მობილური ტელეფონების დაკარგვა და იმის მიუხედავად, რომ ტელეფონების ჩაბარება სირთულესთანაა დაკავშირებული, ხელოსნები 1000-ლარიან და უფრო მეტი ღირებულების ტელეფონებს 100 ლარად იბარებენ და შემდეგ, ნაწილებს იყენებენ. ჰოდა, დღეში 2-3 ასეთი ტელეფონი რომ ჩააბარონ, არა მარტო დასასვენებელ ფულს, არამედ, მცირე კაპიტალსაც დააგროვებენ კრიმინალები და ამიტომ, აჭარის რეგიონი მათთვის მიმზიდველია, თუმცა ჭკუა ტურისტებმაც ისწავლეს და სამართალდამცავებიც მობილიზებულნი არიან. ამიტომ, უპატრონოდ მობილურ აპარატებს არავინ ტოვებს, თუმცა...

იყო რამდენიმე შემთხვევა, როცა საოჯახო სასტუმროში პირები პასპორტის გარეშე შესახლდნენ ანუ მეპატრონემ რეალურად არ იცოდა, ვინ შეუშვა და შემდეგ მათ მეზობელი ნომრები გაასუფთავეს და გაქრნენ. ამიტომ, ახლა უმკაცრესად კონტროლდება ისიც, რომ უსაბუთოდ ოთახი არავის მიაქირაონ და სამართალდამცავებსაც მუშაობა გაუადვილდეთ.

ზაფხულის მოსვლასთან ერთად, გააქტიურდა მარიხუანას მოხმარებაც და ამ მიმართულებითაც იმატა დანაშაულმა. ინტერნეტში აქტიურად იყიდება მარიხუანა (ნახევარლიტრიანი ქილა 500-700 ლარი ღირს) და იმის მიუხედავად, რომ ძალოვნები მაქსიმალურად ცდილობენ „ბარიგების“ გამოვლენას, მარიხუანას შემთხვევაში, ყველაფერი ჭირს. მოხმარება საქართველოში დანაშაულად არ ითვლება და მით უმეტეს იმის ფონზე, როცა იმავე ინტერნეტით, ბევრად ძლიერი ნარკოტიკული საშუალებების შეძენაა შესაძლებელი.

ეგ კი არა, მთელი საკურიერო სისტემაა აწყობილი იმისთვის, რომ ლოკაციებზე, სადაც კამერები არ არის, კონკრეტულმა პირებმა ნარკოტიკები დადონ და მხოლოდ ამისთვის 70-დან 100 ლარამდე იღებენ. ამით, გამყიდველი არ რისკავს, რადგან დაკავების შემთხვევაში, კურიერმა არც კი იცის, ვისგან აიღო ნარკოტიკი და ვინ არის მსხვილი გამსაღებელი.

სავარაუდოდ, სწორედ ამ მიზეზით, ახალი წლიდან, ნებისმიერ ობიექტზე, თუნდაც მიყრუებულ სოფელში, სავალდებულო იქნება ვიდეოთვალის დაყენება და ყველაფერი ეს, სამართალდამცავებს მუშაობას ძალიან გაუიოლებს. მართალია, ვიდეოთვალებით აღჭურვა არცთუ იაფი დაჯდება, თუმცა რეალურად, ეს ობიექტების მფლობელებისთვისაც ძალიან კარგი უნდა იყოს, რადგან მათ ზუსტად ეცოდინებათ, რა ხდება ობიექტზე. გარდა ამისა, პროცენტულად, იმ ადგილებში, სადაც ვიდეოთვალებია დამონტაჟებული, დანაშაულსაც ნაკლებად სჩადიან და ასეთი ადგილები კრიმინალებისთვისაც ნაკლებმიმზიდველია.

ხაშურელმა მამაკაცმა მეზობლის ბიჭი სადისტურად მოკლა

ბათო ჯაფარიძე

თანამედროვე ტექნოლოგიების შემოსვლასთან ერთად, უბედური შემთხვევების რიცხვმა მთელი მსოფლიოს მასშტაბით იმატა. საუბარი კონკრეტულად სარკინიგზო შემთხვევებზე მაქვს, მაგალითად, როცა ადამიანები ყურსასმენებით მოძრაობენ და მობილურ ტელეფონში მუსიკას უსმენენ, ლიანდაგზე მოძრაობისას, მატარებლის საყვირის ხმა არ ესმით. ასეთი გარდაცვალების შემთხვევები იყო, როგორც საქართველოში, ისე პრაქტიკულად, ყველა ქვეყანაში.

„მიწამ მაქცია მკვლელად“ – ბრალდებულის აღიარებითი ჩვენება

„პენსიაზე გასვლამდე, არცთუ ბევრი მიკლდა, როცა ხარაგაულიდან გოგონა მოვიდა. კითხვა-კითხვით მომაგნო, კაბინეტში რომ შემოვიდა, ერთიანად ცახცახებდა, თითქოს ეშინოდა. მერე მითხრა, თქვენთან ერთმა კაცმა მომასწავლაო და ჩემი ძველი ნაცნობი და მეგობარი დამისახელა. ბოლოს ამოღერღა, ქმარი მომიკვდა და ადგილობრივმა პოლიციამ უბედურ შემთხვევად მონათლა, მე კი ვამბობ, რომ მოკლესო“, – გვიყვება მორიგ ისტორიას პოლიციის გადამდგარი პოლკოვნიკი, ბატონი თენგიზი.

ორიოდე კვირის წინ, ხარაგაულში, რკინიგზის ლიანდაგთან, ახალგაზრდა მამაკაცის გვამი იპოვეს. მას შესაბამისი ექსპერტიზა ჩაუტარეს და უბედურ შემთხვევად მოინათლეს. საბუთებით ყველაფერი წესრიგში იყო – ექსპერტიზაც და დასკვნებიც. გვამს აშკარად ეტყობოდა დაზიანების ნიშნები, რომელიც მატარებელთან შეჯახების შედეგად მიიღო და ექიმსაც დასკვნა ნამუსიანად ჰქონდა გაკეთებული. დაზიანება თავის ქალაზე, რომელმაც სიკვდილი გამოიწვია, რელსზე შეჯახების შედეგად იყო გამოწვეული. სწორედ იმ ადგილზე, სადაც დაზიანება იყო, ექსპერტმა რელსზე წასასმელი სპეციალური სითხის ნაწილაკებიც ნახა, რელსის კუთხის ანაბეჭდიც ანუ ყველაფერი ეს ეჭვს არ იწვევდა. საინტერესო იყო მემანქანის ჩვენებაც, რომელიც ამბობდა, რომ გზას ყურადღებით უყურებდა, ყველა სანათი მუშაობდა, მაგრამ ბიჭი, თითქოს, გვერდიდან შემოხტა. დარტყმის კვალი მატარებელსაც ეტყობოდა – ბიჭის სისხლით იყო მოსვრილი. საქმეში იდო ყურსასმენები, რომელიც გარდაცვლილს ეკეთა ანუ მუსიკას უსმენდა და სავარაუდოდ, მატარებლის ხმა ვერ გაიგო. შედეგად, გასაკვირი იყო, რატომ ამბობდა მეუღლე, რომ ქმარი მოუკლეს, თუმცა, როცა გამომძიებელმა მოუსმინა, ეჭვები მასაც გაუჩნდა.

„ჯერ ერთი, ჩემი ქმარი სახლში ღამით ბრუნდებოდა და აუცილებელი არ იყო, ლიანდაგზე მატარებლის ხმა გაეგონა, განათებას დაინახავდა. ესეც რომ არ იყოს, აგერ, ჩემი ქმრის ყურსასმენები. როცა ტელეფონი იყიდა, ყურსასმენები უჯრაში ჩადო, არ უყვარდა ხმარება, ერთხელაც არ გამოუყენებია და საიდან მოვიდა ის მეორე ყურსასმენი, არ ვიცი. ახალი, ხელუხლებელი ედო სახლში და იმის ფიქრი, რომ იყიდა, სისულელეა. ჩემი ქმარი მოკლეს და მკვდარი შეუგდეს მატარებელს“, -ამბობდა გოგონა.

მისივე თქმით, ყველაფერზე პოლიციის ადგილობრივ ხელმძღვანელობასაც ესაუბრა, გამომძიებელსაც, მაგრამ არავინ მოუსმინა და საბოლოოდ, ერთი კაცის რჩევით, ბატონ თენგიზთან მივიდა. გამოცდილმა გამომძიებელმა ხელმძღვანელობას ხარაგაულში მივლინება და საქმის გადაცემა მოსთხოვა, რაზეც თანხმობა მიიღო. გოგონას სტუმრობის მეორე დღეს, ხარაგაულში საგამოძიებო ჯგუფი თბილისიდან ჩავიდა, რამაც ადგილობრივი პოლიციის გაკვირვება გამოიწვია.

„რასაც ახლა ვიტყვი, შესაძლოა, არ მოგეწონოთ, მაგრამ დარწმუნებით შემიძლია გითხრათ, რომ ეს იყო უბედური შემთხვევა და ამას მოწმობს, როგორც ნივთმტკიცებები, ისე ექსპერტიზის დასკვნები. მესმის, რომ გოგონა ამბობს, ყურსასმენები სახლში ჰქონდა და არ იყენებდაო, მაგრამ კაცია და გუნება, იქნებ, რაღაცის მოსმენა მოუნდა, იქნებ, ის ყურსასმენები იპოვა... მით უმეტეს, მათზე მხოლოდ მისი ანაბეჭდებია ანუ რეალური საფუძველი და მიზეზი, რომ ვიფიქროთ, თითქოს, ეს ყურსასმენები მიუგდეს, ტელეფონზე გაუკეთეს, არ გვაქვს, თანაც ვის რაში სჭირდებოდა ამ ბიჭის მოკვლა? ის ახალი ჩამოსულია რაიონში, მამა-პაპისეული სახლი გაარემონტა, აქ უნდა ვიცხოვრო, ქალაქი მომწყინდაო. ეს გოგოც, როგორც ვიცი, მისი მეგობარია და არა ცოლი“, – უთხრა დედაქალაქიდან ჩასულებს პოლიციის უფროსმა.

მართლაც, საფუძველი თითქოს არ იყო, მაგრამ გოგონამ ისიც თქვა, სიკვდილამდე ოთხი დღით ადრე, ხელი მოვაწერეთ, ჩუმად, უხმაუროდ, არავისთვის გვითქვამს და ამიტომ, ოფიციალური ცოლ-ქმარი ვართო. გამოძიებამ გაარკვია, რომ ბიჭს სახლი მემკვიდრეობით ერგო, თუმცა სოფელში ათი წლის განმავლობაში არ იყო ჩასული. მშობლები ავარიაში დაეღუპა, პაპამ გაზარდა და სახლიც პაპამ დაუტოვა, თუმცა ბიჭი დედაქალაქში ცხოვრობდა და რამდენიმე თვის შემდეგ გაუწია გულმა სოფლისკენ, საცოლეც დაითანხმა და ჩავიდა, სახლი გაარემონტა, მიწა დაამუშავა, მოკლედ, სოფლის ცხოვრებას შეუდგა.

„როცა აქ ჩამოვედით, ყველა მიწა და ნაკვეთი მოიკითხა. მეზობლებმა, რომლებიც ამუშავებდნენ, მარტივად დათმეს, შენია და კარგია, რომ ჩამოხვედიო. სახლის გარემონტებაშიც დაეხმარნენ და ვინმეს რომ ინტერესი ჰქონოდა, არ იკვეთებოდა. ან რა ინტერესი, აგერ, დაუმუშავებელი მიწები იმდენია, კიდევ ორ სოფელს ეყოფა. ამიტომ, ეჭვს ვერავისზე მივიტან. ისე, როცა პირველად ჩამოვედით, მეზობელმა გვითხრა, სახლს ხომ არ გაყიდითო და უარი რომ ვუთხარით, არც კი გაბრაზებულა. შვილებისთვის მინდა სახლი, ნაკვეთი კი მაქვს, მაგრამ აშენება მეზარება, აშენებულს ვეძებო“, – ამბობდა გოგო.

თბილისიდან ჩასულმა ჯგუფმა შემთხვევის ადგილი კიდევ ერთხელ დაათვალიერა. საეჭვო კვლავ ვერაფერი ნახა, თუმცა გამომძიებლის ყურადღება ბეტონის ფილებმა მიიპყრო, რომელიც შემთხვევის ადგილთან ახლოს, პირდაპირ ლიანდაგის გვერდზე ეწყო. ზედა ფილას რამდენიმე ადგილზე მუქი ლაქა ეტყობოდა და ადგილობრივებმა იქვე აუხსნეს, სისხლის ლაქებია, შეჯახება, სავარაუდოდ, ამ ადგილზე მოხდა და სისხლი შეეშხეფაო, მაგრამ თბილისელმა ექსპერტმა თავი გადააქნია, შეუძლებელია ასე მომხდარიყო, ლაქებს ისეთი ფორმა აქვს, რომ სისხლი ზემოდან ქვემოთ დაეწვეთა და არა – გვერდიდანო. ეს პირველი მტკიცებულება იყო, რომ რაღაც რიგზე ვერ იყო და პირველი ვერსია საეჭვო გახდა. ამან ჩასულებს მეტი აზარტი მისცა და ჯგუფის უფროსმა ახლომდებარე ტერიტორიის ნახევარკილომეტრიან რადიუსში დათვალიერების ბრძანება გასცა.

შედეგი ამანაც გამოიღო – შემთხვევის ადგილიდან, დაახლოებით, 300 მეტრში, ერთ-ერთმა თანამშრომელმა რელსის მცირე ზომის გადანაჭრელი იპოვა, რომელსაც სისხლი ეცხო.

„მივხვდი, რომ მკვლელობის იარაღს მივაგენით. მკვლელმა რელსის ნაჭერი ჩაარტყა მსხვერპლს თავში, შემდეგ მატარებელს დაელოდა და სწორედ იმ ბეტონის ფილებიდან შეუგდო სხეული. ამიტომაც იყო, მემანქანე რომ ამბობდა, გზაზე არაფერი ჩანდა და ბიჭი, თითქოს, მოულოდნელად შემოხტაო. ისიც ადვილი მისახვედრი გახლდათ, რომ მკვლელმა არ იცოდა, გარდაცვლილი ყურსასმენებს რომ არ იყენებდა ანუ მას კარგად არ იცნობდა. საქმე სასწრაფო წესით გადაკვალიფიცირდა, მაგრამ ადგილობრივ სამართალდამცავებს ვუთხარი, რომ ეს არ უნდა გაეხმაურებინათ, რადგან მკვლელი დაფრთხებოდა და შესაძლებელი იყო, არსებული ნივთმტკიცებებიც გაექრო“, – გვიყვება ბატონი თენგიზი.

რელსის ნაჭერი დედაქალაქში გადააგზავნეს და სამხარაულის ექსპერტიზის ბიუროდან დასკვნაც მოვიდა – გარდაცვლილის გარდა, რელსზე კიდევ ერთი ადამიანის სისხლი იყო, სავარაუდოდ, მკვლელის, რომელმაც ხელი გადაჭრილი რელსის ბასრ კუთხეზე დაიზიანა. რაც მთავარია, რელსი ახალი გადაჭრილი იყო, ასეთი მყარი მეტალის გადაჭრა ხარაგაულში ადვილი არ უნდა ყოფილიყო და ახლა მოსაძებნი იყო, ვის შეიძლებოდა, გადაეჭრა რელსი. ამაში დედაქალაქიდან ჩასულებს ადგილობრივი პოლიცია დაეხმარა და ერთ-ერთ მცირე საამქროში მიიყვანა.

„ეს რელსი ჯართში ჩააბარა ვიღაცამ, მერე მე ვიყიდე იაფად და ნაწილ-ნაწილ ვჭრი. ყიდულობენ, სახლში მიაქვთ, ზოგი ლურსმნის გასასწორებლად იყენებს, ზოგი სხვა მეტალის გასაბრტყელებლად. გექნებათ ნანახი სახლებში რელსის პატარა ნაჭრები“,-თქვა მუშამ და ისიც დააყოლა, დაახლოებით, ოცამდე ნაჭერი მაქვს გაყიდული და ყველას ნამდვილად ვერ გავიხსენებო. გამომძიებლებმა მკვლელობის იარაღი უჩვენეს, ის არ იყო დიდი ზომის, ხელში ადვილად დასაჭერი გახლდათ, ასეთს სახლისთვის არავინ იყიდდა და მოაჭრევინებდა. მუშამ დეტალი მაშინვე იცნო – „ასეთი პატარა ნაწილი პირველად მოვჭერი, ვიცი ის კაცი, ვინც არის და სადაც ცხოვრობს, ვკითხე კიდეც, რად გინდა ასეთი მცირე ზომა, ვერაფერში გამოიყენებ-მეთქი, მაგრამ არ დამიჯერა“, – დაამატა მუშამ და...

ის მეზობელი დაასახელა, რომელმაც გარდაცვლილს სახლის გაყიდვა შესთავაზა. ეჭვმიტანილი მაშინვე დაიკავეს. გამოძიებას მტკიცებულება ჰქონდა და სისხლის ჯგუფიც თუ დაემთხვეოდა, სასამართლოსთვის სრულიად საკმარისი აღმოჩნდებოდა. სისხლის ჯგუფი დაემთხვა და როცა დაკავებულს წინ რელსის ნაჭერი დაუდეს, ფერი დაკარგა.

„ყველაფერი დალაგებული მქონდა, ის სახლი უნდა მეყიდა, მიწებიც, შვილები სოფლიდან წასვლას არ აპირებდნენ. მოულოდნელად, ეს ლაწირაკი დამადგა, სოფელში გადმოვედი, აგერ, ცოლსაც მოვიყვანო. ვკითხე, ჯერ მოგეყვანა, მერე ჩამოგეყვანა-მეთქი და ხელის მოწერა რა პრობლემაა. მივხვდი, უნდა მემოქმედა, სანამ ხელს მოაწერდა, მანამდე უნდა მექნა საქნელი. ყველაფერი გავთვალე, უფრო სწორედ, ასე მეგონა. დანაშაულს არ ვინანიებ იმიტომ, რომ დავიღალე, მთელი ცხოვრება მიწას ვუყურებ და ბოლოს მაინც არაფერი შემრჩა, მიწამ მაქცია მკვლელად“, – დაასრულა მოყოლა დაკავებულმა...

ბათო ჯაფარიძე

ბოტოქსი, სილიკონი, ფილერი – ეს ნივთიერებები თანამედროვე ქალბატონებისთვის ძალიან კარგადაა ცნობილი. პრინციპში, რატომ, მხოლოდ ქალბატონებისთვის, მამაკაცების არცთუ მცირე ნაწილი აკითხავს სილამაზის სალონებს ამ მომსახურებისთვის და, მათ შორის, შოუ-ბიზნესის წარმომადგენლები სჭარბობენ. ბევრისთვის ეს ძვირადღირებული ფუფუნებაა, ბევრისთვის – ხელმისაწვდომი, მაგრამ არასასურველი, რადგან ჰგონია, რომ აღნიშნული ნივთიერება ჯანმრელობისთვის მაინცდამაინც კარგი არ არის და ხელს სიმსივნისა და სხვა დაავადებების განვითარებას უწყობს. ასეა თუ ისე, ტუჩებ და მკერდდაბერილი ქალების რიცხვი აშკარად არ იკლებს და ეს სწორედ ბოტოქსისა და სილიკონის დამსახურებაა. ისიც ვთქვათ, რომ აღნიშნულ ჩარევებს, მართლაც, არაერთი ლამაზი ქალის სახე დაუმახინჯებია – წარუმატებელი ოპერაციები ისე დასრულებულა, რომ ლამაზ ფორმებს ვინ ჩივის, ტუჩსა თუ მკერდს ფორმა საერთოდ დაუკარგავს. ისტორია, რომელსაც ახლა გიამბობთ, არცთუ დიდი ხნის წინ, ერთ-ერთი მაღალჩინოსნის ცოლს გადახდა და საზოგადოების ყურამდე მხოლოდ იმიტომ არ მივიდა, რომ იმ მაღალჩინოსანმა საქმის მისაჩუმათებლად ყველაფერი გააკეთა. არადა, რეალურად, ჩვეულებრივზე ჩვეულებრივი კრიმინალი გახლდათ, თუმცა ასეთი რამეები (საქმის ჩაფარცხვას ვგულისხმობთ) საქართველოში ადრეც ხდებოდა და მომავალშიც მოხდება.

როგორ მოწამლა საყვარელმა მაღალჩინოსნის ცოლი

საბედისწერო ბოტოქსი და ჩაფარცხული კრიმინალური შემთხვევა

ერთ-ერთი პრესტიჟული სილამაზის სალონიდან სასწრაფოში ზარი შევიდა. პერსონალი დახმარებას ითხოვდა, კლიენტი ცუდად გახდა, კვდებაო და სასწრაფო დახმარების ეკიპაჟიც შემთხვევის ადგილზე სწრაფად გავიდა. ადგილზე მისულმა ბირგადამ, როგორც კი დაინახა, ვისთან ჰქონდათ საქმე, მაშინვე პოლიციაში დარეკა და მალე იქაურობა სამართალდამცავებით გაივსო. ერთ-ერთი უწყების ლამის პირველი პირის ცოლს ქაფი გადმოსდიოდა, რაც მოწამვლის ნიშანი იყო და ექიმები ყველაფერს აკეთებდნენ, რომ როგორმე საავადმყოფომდე ცოცხალი მიეყვანათ. წაიყვანეს კიდეც, შესაბამისი პროცედურებიც ჩაუტარეს, მაგრამ პაციენტი მაინც კომაში ჩავარდა და დაიწყო რამდენიმედღიანი ბრძოლა მის გადასარჩენად.

სილამაზის სალონის მთელი პერსონალი და დანარჩენი კლიენტები კი განყოფილებაში დაკითხვაზე გადაიყვანეს.

„ბოტოქსის გასაკეთებლად იყო მოსული. ეს არც პირველი შემთხვევა გახლდათ და არც უკანასკნელი იქნებოდა, რადგან კიდევ სურდა ბოტოქსის რამდენიმე ადგილზე შეყვანა. მას ყველაზე ძვირადღირებული და ხარისხიანი პრეპარატით ვემსახურებოდით. პროცედურის დაწყებამდე, გაზიანი წყალი მოსვა და როგორც კი ნემსი გავუკეთე, თავი ცუდად იგრძნო, მერე პირიდან ქაფი წამოუვიდა და გრძნობა დაკარგა“, – თქვა სილამაზის სალონის თანამშრომელმა და არც ტყუოდა – სალონში ვიდეოთვალიც იყო, რომელიც მეორე ოთახში იშიფრებოდა და კოსმეტოლოგის მონაყოლი ასახულ კადრს, ერთი ერთში ემთხვეოდა.

ამოიღეს ის შპრიციც, რომლითაც ბოტოქსი შეიყვანეს და ლაბორატორიაში გადააგზავნეს. პასუხი იქიდანაც მარტივი იყო – უმაღლესი ხარისხის ნივთიერება, რომელსაც დაზარალებულისთვის ზიანი არ უნდა მიეყენებინა, თუმცა იმავე ლაბორატორიაში, სისხლის ხანგრძლივი და დეტალური ანალიზის შედეგად, საინტერესო დასკვნა დაიდო – ქალმა, პროცედურის დაწყებამდე ცოტა ხნით ადრე, მიიღო წამალი, რომელიც ბოტოქსთან რეაქციაში შედის და მისი მიღების შემთხვევაში, არ შეიძლებოდა პროცედურის დაწყება. კოსმეტოლოგმა თავი გაიგიჟა, გაფრთხილებული მყავდა და ზუსტად ვიცოდი, რომ რეაქციაში შემსვლელ პრეპარატებს არ იღებდა, არც აქ დაულევია რამეო. კადრშიც ჩანდა, რომ ქალი წამალს ნამდვილად არ სვამდა, მაგრამ ფაქტია, ექსპერტიზა ამტკიცებდა, პროცედურის დაწყებამდე, წამალი ორგანიზმში ათი წუთით ადრე გაიხსნაო. არადა, ათი კი არა, თხუთმეტწუთიანი უწყვეტი კადრი მეტყველებდა, რომ დაზარალებული წამალს არ იღებდა და ერთადერთი, რაც მიიღო, სწორედ, გაზიანი წყალი გახლდათ.

წყლის ბოთლიც შეამოწმეს, მაგრამ საეჭვო იქაც ვერაფერი აღმოაჩინეს. ერთი შეხედვით, ყველაფერი სასწაულს ჰგავდა, ვიდეოთვალის კადრები გავლენიანმა ქმარმაც ნახა და ისიც დარწმუნდა, რომ მეუღლე წამალს არ იღებდა, პროცედურის დაწყებამდე ჟურნალს ათვალიერებდა, შემდეგ კი, გაზიანი წყლით ჭიქა გაავსო, ბოლომდე დაცალა და სავარძელზე დაწვა, რათა პროცედურა დაეწყოთ. კაცმა ისიც თქვა, ჩემი ცოლი რაღაც კაფსულებს იღებს, სახლშიც და მანქანაშიც აქვს მუდმივად, დალევა ავიწყდება და მერე მანქანაში სვამსო. გაჩხრიკეს მანქანა, ნახეს კაფსულა, თუმცა ეს წამალი უვნებელი იყო და მისი მიღების შემდეგ, რეაქცია არ უნდა დაწყებულიყო. ერთადერთი იმედი ის იყო, რომ ქალი კომიდან გამოვიდოდა და მიახლოებით მაინც იტყოდა, როგორ მოხვდა ორგანიზმში პრეპარატი, რომელიც ზუსტად იცოდა, რომ რეაქციაში შევიდოდა და შესაძლებელი იყო, ფატალური შედეგი დამდგარიყო.

სიკვდილთან ბრძოლა ოთხი დღე გაგრძელდა და მეხუთე დღეს ქალმა თვალი გაახილა. ეს, პირველ რიგში, სასიხარულო გამომძიებლებისთვის იყო, თუმცა სანამ მასთან დაკითხვაზე ძალოვნები შევიდოდნენ, ქმარმა მოინახულა, იქიდან კი თავის ქნევით გამოვიდა, მანაც არ იცის, წამალი ორგანიზმში როგორ მოხვდაო. ახალი ვერც გამომძიებლებმა გაიგეს – დაზარალებულმა და სიკვდილს საოცრად გადარჩენილმა ქალმა თქვა, სახლში წამლის მიღება დამავიწყდა, მანქანაში დავლიე, ცოტა წყალი მქონდა, ის დავაყოლე, შემდეგ ცენტრში რომ მივედი, გაზიანი წყალი ჰქონდათ და ისიც დავლიე, მერე პროცედურაზე დავწექი და აღარაფერი მახსოვსო. სამართალდამცავებმა ერთმანეთს გაოცებულებმა შეხედეს, რადგან წარმოუდგენელი იყო, პრეპარატი ორგანიზმში თავისით მოხვედრილიყო და არც ეს ქალი ჩანდა იმის ჩიტი, თავი ასეთი სიკვდილისთვის რომ გაეწირა. უფრო დეტალური დაკითხვა მეორე დღისთვის გადაწყდა.

მეორე დღეს, პალატაში მისულმა გამომძიებლებმა ქალს სთხოვეს, დეტალებში აღედგინა ყველაფერი, რაც სახლიდან სილამაზის სალონამდე მოხდა. ნებისმიერი, უმნიშვნელო დეტალიც კი გაეხსენებინა და მანაც დაიწყო:

„სახლიდან რომ გამოვედი, მანქანასთან ჩემი მეზობელი გოგო მელოდებოდა, მკითხა, საით მიდიხარო და რომ ვუთხარი, ეგებ, მეც გამიყოლოო. რა თქმა უნდა, ჩავსვი და როგორც კი მანქანა დავძარი, წამალი გამახსენდა, რადგან კოლოფს სწორედ ის გოგო ათამაშებდა ხელში. ერთი კაფსულა მომეცი-მეთქი, ამოიღო, მომცა, წყალიც მომაწოდა, მაგრამ ხომ გითხარით, ცოტა იყო და სალონში ამიტომ დავაყოლე. ის გოგო სალონამდე ცოტა ხნით ადრე ჩამოვიდა, მე სალონში მივედი, დანარჩენი იცით“...

გამომძიებლებმა გოგონას შესწავლა დაიწყეს და აღმოაჩინეს, რომ მას დაზარალებულის ქმართან ანუ მაღალჩინოსანთან საკმაოდ ხშირი მიმოწერა და სატელეფონო საუბარი ჰქონდა. რამდენიმე სმს-ის გაშიფვრის შემდეგ, დაადგინეს, რომ ის კაცის საყვარელი იყო. ამიტომ, მაღალჩინოსანს რბილად ჰკითხეს, თქვენი საყვარელი ცოლს მოსაკლავად ხომ არ გაიმეტებდაო, რაზეც ის ძალიან გაბრაზდა, ჩემს პირად ცხოვრებაში ჩარევას, გირჩევნიათ, დამნაშავეები ეძებოთო, თუმცა...

რამდენიმე დღის შემდეგ, ძალოვნებს ბრძანება მიუვიდათ, რომ საქმე დაეხურათ, რადგან არც მომჩივანი არსებობდა და ის მოწამვლაც შემთხვევითობისთვის უნდა მიეწერათ. მიხვდნენ, რომ საქმის გახსნა და ხმაური სწორედ კაცს არ აწყობდა, ამიტომ, სანამ საქმეს დახურავდნენ, გოგონა დაკითხეს, მას კი პირველივე დაყვირებაზე წამოსცდა, იმას ხომ ყველაფერი მოვუყევი, თქვენ რაღა გინდათო. გამომძიებლებმა პირობა მისცეს, ყველაფერი ეს ფორმალობაა, გაგიშვებთ, ოღონდ სიმართლე ჩვენც გვითხარიო. ჰოდა...

„სადღაც წავიკითხე, რომელი პრეპარატი იყო მომაკვდინებელი ბოტოქსთან ერთად. ეს კაცი სულ მეუბნებოდა, ცოლი რომ არ მყავდეს, შენ მოგიყვანდიო და კონკურენტის მოწამვლა გადავწყვიტე. მოკვლა არ მინდოდა, შეშინება მინდოდა... ვიცოდი, რომ კაფსულებს სვამდა და მუდმივად ავიწყდებოდა, ამიტომ, ორი ცალი მოვპარე, ფხვნილი გადმოვყარე და სხვა პრეპარატით შევავსე. ორი კაფსულა იმიტომ, რომ მეშინოდა, მაშინვე არ გახსნილიყო, მინდოდა, ნელ-ნელა გახსნილიყო, რათა გადარჩენის შანსი ჰქონოდა. მერე მუქარის წერილებით ვაპირებდი დაშანტაჟებას, ქმარზე უარი რომ ეთქვა. მანქანითაც სპეციალურად გავყევი, ვიცოდი, წამალი დავიწყებული ექნებოდა და ჩემი კაფსულა შევაჩეჩე“...

როგორც შემდეგ გაირკვა, ორ კაფსულაში მოთავსებული პრეპარატი მართლაც გვიან უნდა დაშლილიყო და ასეთი მძიმე შედეგი არ უნდა მოჰყოლოდა, მაგრამ გაზიანმა წყალმა, კაფსულის გარეკანის დაშლა დააჩქარა და მოხდა ის, რაც მოხდა. ამ საქმის გამო, არავინ დაუჭერიათ, არც მაღალჩინოსანი გაყრია ცოლს და ყველაფერი ზუსტად ისე დასრულდა, როგორც ინდურ ფილმებში – ცეკვითა და სიმღერით... ალბათ, ცოტა ჩხუბითაც... ბოლივუდის სტილში.

საპატრულო პოლიციამ ავტომობილის ქურდობის ბრალდებით ერთი პირი დააკავა

შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, უკრაინის მოქალაქე, 1988 წელს დაბადებული ვ.ფ., სატრანსპორტო საშუალების წინააღმდეგ ჩადენილი ქურდობის ბრალდებით, თბილისში დააკავეს.

დანაშაული 4-დან 7 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებული უკანონოდ დაეუფლა 1993 წელს დაბადებული მ.მ.-ს კუთვნილ ავტომობილს და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა.

საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლების მიერ ჩატარებული საგამოძიებო და სამძებრო ღონისძიებების შედეგად, მყისიერად მოხდა ავტომობილის ადგილსამყოფელის დადგენა, დანაშაულის სავარაუდო ჩამდენი პირის იდენტიფიცირება და დაკავება.

გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით მიმდინარეობს.

პოლიციამ თბილისში მომხდარი დაჭრის ფაქტი ცხელ კვალზე გახსნა – დაკავებულია ერთი პირი

შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიული და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 2004 წელს დაბადებული გ.ბ., თბილისში დააკავეს.

დანაშაული 9-დან 13-წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა მიმდინარე წლის 7 ივლისს, ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე, ცივი იარაღით ჭრილობები მიაყენა ორ პირს.

სამართალდამცველებმა ჩატარებული საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, დანაშაულის სავარაუდო ჩამდენი პირი, ცხელ კვალზე დააკავეს.

გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 117-ე მუხლის მე-3 ნაწილით მიმდინარეობს.

დაცვის პოლიციამ შინაგან საქმეთა სამინისტროს დანაყოფად დაარსებიდან 18 წელი აღნიშნა

შინაგან საქმეთა სამინისტროს დაცვის პოლიციის დეპარტამენტის ადმინისტრაციული შენობის ტერიტორიაზე „დაცვის პოლიციის დღე“ აღინიშნა. ღონისძიებას უწყების ხელმძღვანელი პირები და თანამშრომლები დაესწრნენ.

დაცვის პოლიციის დეპარტამენტის თავმჯდომარემ, გიორგი ბაგრატიონმა თანამშრომლებს პროფესიული დღე მიულოცა და გაწეული სამსახურისთვის მადლობა გადაუხადა.

სიტყვით გამოსვლისას, გიორგი ბაგრატიონმა არსებულ მიღწევებსა და სამომავლო გეგმებზე ისაუბრა:

„უწყება არ წყვეტს ტექნოლოგიურ განვითარებას და წლის ბოლომდე დაცვის პოლიცია სრულად იქნება აღჭურვილი ევროპული სტანდარტის ტექნიკით. კერძოდ, ინერგება MOTOROLA TETRA სისტემის მოწყობილობები. გარდა ამისა, დაცვის პოლიციის რებრენდინგის ფარგლებში, დაცვის პოლიციის ყველა თანამშრომელს ახალი სამუშაო ფორმა გადაეცა. დაცვის პოლიციის წარმატება და დასაცავი ობიექტების რაოდენობის ყოველწლიური ზრდა დამოკიდებულია უწყებაში მომუშავე ადამიანების პროფესიონალიზმზე, ტექნოლოგიურ განვითარებასა და ავტოპარკის განახლებაზე, რასაც წარმატებით ვახორციელებთ.

წელს უწყებას უკვე შეემატა 15 ერთეული სპეციალიზირებული ჯავშნირებული ავტოსატრანსპორტო საშუალება. ოპერატიული ჯგუფის ადგილზე გამოცხადების დროის მინიმუმამდე შემცირების მიზნით, ავტოპარკის განახლება მომავალშიც გაგრძელდება“.

წლევანდელ საზეიმო ღონისძიებაზე, 95-მა ახალწვეულმა სამხედრო ფიცი დადო და დაცვის პოლიციის რიგებს შეუერთდა. გიორგი ბაგრატიონმა სამსახურეობრივი მოვალეობების პირნათლად შესრულებისთვის, 33 თანამშრომელი მადლობის სიგელით დააჯილდოვა.

ღონისძიების დასასრულს, შიდა საფეხბურთო ტურნირის ფინალური მატჩი გაიმართა, რაც დაცვის პოლიციის თანამშრომლებში შიდა კომუნიკაციის გაუმჯობესებასა და ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზებას ემსახურება.

კახეთის პოლიციამ ახმეტაში მომხდარ ავტოსაგზაო შემთხვევაში ბრალდებული პირი დააკავა

შინაგან საქმეთა სამინისტროს კახეთის პოლიციის დეპარტამენტის ახმეტის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა, კახეთის საოლქო პროკურატურასთან ერთად ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 1991 წელს დაბადებული ჯ.ლ. დააკავეს. მას ბრალი განსაცდელში მიტოვებასა და ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების წესის დარღვევაში ედება, რამაც ადამიანის სიცოცხლის მოსპობა გამოიწვია.

დანაშაული 4-დან 7 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებული, რომელიც სავარაუდოდ ნასვამ მდგომარეობაში იმყოფებოდა, მიმდინარე წლის 27 ივნისს, ღამით, ახმეტის მუნიციპალიტეტის სოფელ საკობიანოში, მსუბუქი ავტომობილით შეეჯახა ქვეითად მოსიარულე თანასოფლელს, 1975 წელს დაბადებულ ა.ჭ.-ს და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა. დაზიანებების შედეგად, ა.ჭ. იმავე ღამეს გარდაიცვალა.

გამოძიება საქართველოს სსკ-ის 128-ე და 276-ე მუხლის მე-6 ნაწილით მიმდინარეობს, რაც განსაცდელში მიტოვებასა და ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების ან ექსპლუატაციის წესის დარღვევას გულისხმობს, რამაც ადამიანის სიცოცხლის მოსპობა გამოიწვია.

შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილემ შსს აკადემიაში აშშ-ის ელჩს, კელი დეგნანს უმასპინძლა

ამერიკის შეერთებულ შტატებსა და საქართველოს დიპლომატიური ურთიერთობების 30 წლისთავის აღსანიშნავად, შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიას აშშ-ის ელჩი საქართველოში, კელი დეგნანი ეწვია. სტუმრებს შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილემ, გიორგი ბუთხუზმა უმასპინძლა. აკადემიაში აშშ-ის პარტნიორობითა და მხარდაჭერით გადაცემული აღჭურვილობისა და ინფრასტრუქტურული პროექტების გამოფენა/პრეზენტაცია გაიმართა.

კელი დეგნანმა და ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს სხვა წარმომადგენლებმა მოინახულეს იმიტირებული სასამართლო დარბაზი, კიბერ-ლაბორატორია, იმიტირებული სასაზღვრო გამშვები პუნქტი, კრიმინალისტიკური ხელსაწყოები, ტაქტიკური მომზადების ოთახი და სწავლებისთვის საჭირო აღჭურვილობა.

აშშ-ის ელჩმა საქართველოში, შსს აკადემიის პერსონალს სიტყვით მიმართა, სადაც ყურადღება გაამახვილა სამართალდამცავთა ტაქტიკური მომზადების მნიშვნელობასა და სასწავლო პროცესში საერთაშორისო პრაქტიკის ინტეგრირების შესახებ.

შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილემ, გიორგი ბუთხუზმა ამერიკის შეერთებული შტატების ელჩს მადლობა გადაუხადა წლების განმავლობაში ამერიკის შეერთებული შტატების მიერ სამინისტროს შესაძლებლობების განვითარებაში შეტანილი წვლილისა და მჭიდრო თანამშრომლობისთვის.

ღონისძიების დასასრულს, აშშ-ის ელჩმა საქართველოში, კელი დეგნანმა შს აკადემიას ვირტუალური ტირისთვის განკუთვნილი აღჭურვილობა (FATS) გადასცა.

ამერიკის შეერთებული შტატების საელჩო საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსთან უკვე მრავალი წელია თანამშრომლობს კიბერდანაშაულის, ოჯახში ძალადობის, ტრეფიკინგის, ტაქტიკური მომზადების, არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენციის, საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების და სხვა მნიშვნელოვანი მიმართულებებით.

ისტორია დაიწერა – საქართველომ ექვსი ერის წარმომადგენელს მოუგო

აქამდე ასე იყო – როცა საქართველოს რაგბის კავშირი ევროპელ კოლეგებს ეუბნებოდა, რომ ჩვენი ნაკრები ბევრად მეტს იმსახურებს, თუნდაც ექვსი ერის გადაკეთება შვიდ ერად შეიძლებოდა და იქ საქართველოს ადგილი იყო, არავინ უჯერებდა. უფრო ზუსტად კი, ევროპული რაგბის მამები პირდაპირ ამბობდნენ, ექვსი ერის არცერთ წარმომადგენელთან არ გაქვთ მოგებული და შესაბამისად, თქვენი ამბიციებიც გადაჭარბებულიაო.

10 ივლისს, ბათუმის არენაზე, მორიგ ტესტ-მატჩში, საქართველო, სწორედ ექვსი ერის წარმომადგენელ იტალიას შეხვდა. მანამდე გამართული ოთხი მატჩიდან (ოთხივე სტუმრად), ბორჯღალოსნებმა ყველა წააგეს. ეს იყო მეხუთე სპარინგი და გვერწმუნეთ, აქ მარცხის შემთხვევაში, საქართველოს უმაღლეს დონეზე, ყველაზე ცოტა, მომდევნო ხუთი წლის განმავლობაში აღარ განიხილავდნენ, ამიტომაც ბიჭები მოედანზე ზე-მოტივირებული გავიდნენ და...

ეს იყო სასწაული, რომელიც ქართველმა მორაგბეებმა მოახდინეს. საწყის წუთებში გატანილი ორი ლელო და ანგარიში – 12:0, იტალიელებისთვის იმდენად მოულოდნელი იყო, რომ ცოტა ხანს აზრზე ვერ მოვიდნენ, შემდეგ კი გაახსენდათ, რომ ექვსი ერის წარმომადგენლები იყვნენ და ძალუმად შემოგვიტიეს. ერთი პერიოდი, ჩვენი გუნდი ლამის გატყდა, თუმცა ქართველებმა იძალეს და დაწყებული საქმე ბოლომდე მიიყვანეს. 28:19 ის ანგარიშია, რომელიც ყველა კითხვას პასუხს სცემს და მოგება ძალიან დამაჯერებლად ჩანს. რაც მთავარია, დამაჯერებელი იყო ჩვენი გუნდი, რომელმაც შემთხვევით კი არა, საქმით მოიგო. ახლა უკვე, ოვალური ბურთი მსოფლიო რაგბის მამების მოედანზეა და მათ სერიოზულად უნდა იფიქრონ იმაზე, საქართველოს ადგილი არის თუ არა ელიტაში. იმედია, რაგბის კავშირსაც 12-პუნქტიან გეგმას არ გამოუგზავნიან.

დიდი თავგადასავალი დაიწყო

ხვიჩა კვარაცხელია ნეაპოლშია. მან სამედიცინო შემოწმება წარმატებით გაიარა და გუნდთან ერთად, სრული დატვირთვით ვარჯოშობს. პირველივე ვარჯიშზე, ორმხრივი თამაშისას, ქართველმა შემტევმა გოლი გაიტანა და საგოლე გადაცემაც შეასრულა, თან ეს ყველაფერი ძალიან ლამაზად გააკეთა და გულშემატკივრების მხრიდან, რომლებიც ვარჯიშს ესწრებოდნენ, ტაშის გარდა, შეძახილი – „მესი, მესი“ დაიმსახურა. „ქართველი მესი“, სწორედ ასე წარადგინა ჟურნალისტთა ნაწილმა კვარაცხელია იტალიაში, თუმცა თავად ხვიჩა ყველაფერს აკეთებს, რომ საკუთარი სახელი და გვარი იტალიელებს დაამახსოვრებინოს. მან ვიდეოც ჩაწერა, სადაც დეტალურად ხსნის, რა ჰქვია და როგორ უნდა წარმოითქვას – „ხვიჩა კვარაცხელია“.

მოგეხსენებათ, ჩვენებური „ნაპოლიმ“ გუნდიდან წასული კაპიტნის, ლეგენდარული ლორენცო ინსინეს ნაცვლად შეიძინა და იმის მიუხედავად, რომ ბევრს მიაჩნდა, კვარას ინსინეს შეცვლა ძალიან გაუჭირდებაო, გუნდის თავკაცმა, ლუჩანო სპალეტიმ დაადასტურა, რომ ქართველი სწორედ მისი პოზიციისთვის იყიდა.

„მარცხენა ფლანგზე მშვიდად ვარ, რადგან წავიდა ინსინე, მაგრამ მოვიდა კვარა. ის ძალიან მაღალი დონის ახალგაზრდაა და მართალია, ჯერჯერობით, ისეთ სასურველ ფიზიკურ კონდიციაში არ გახლავთ, როგორიც მე მსურს, თუმცა ესეც დროის საკითხია. ის ვარჯიშებზე ბოლომდე იხარჯება, ახალი სეზონის დაწყებამდე ფორმაშიც შევა და მჯერა, ხმამაღალ სიტყვას იტყვის“, – განაცხადა სპალეტიმ.

და ერთიც – ვარჯიშის შემდეგ, გულშემატკივრებმა კვარაცხელიასთან ავტოგრაფის თხოვნით რიგი დააყენეს...

ჭიკაძე ოქტაგონზე ბრუნდება

ცხრათვიანი პაუზის შემდეგ, UFC-ის ქართველი მებრძოლი, გიგა ჭიკაძე ოქტაგონზე ბრუნდება. ის მორიგ შეხვედრას 18 სექტემბერს გამართავს და მეტოქედ ამერიკელი სოდიქ ოლამიდე იუსუფი ეყოლება.

აქამდე, ჭიკაძეს UFC-ში რვა ბრძოლა აქვს გამართული და ზედიზედ შვიდი გამარჯვების შემდეგ, მერვეში დამარცხდა. რაც შეეხება იუსუფს, მას ექვსი ბრძოლიდან ხუთი მოგება აქვს, რაც იმას ნიშნავს, რომ დაპირისპირება თვალსასეირო უნდა გამოვიდეს.

აღნიშნული ბრძოლის მოგების შემთხვევაში, ჭიკაძეს კვლავ ექნება შესაძლებლობა, საჩემპიონო ქამარზე განაცხადოს პრეტენზია. ბოლო ჯერზე, წაგებულ შეხვედრაში რომ ემარჯვა, საჩემპიონო ბრძოლას აუცილებლად მიიღებდა, მაგრამ მარცხის გამო, აღნიშნულმა პროცესმა ჯერჯერობით გადაიწია.

ბუდაპეშტში სამი ფინალით და ოქროს გარეშე

უნგრეთის დედაქალაქმა ძიუდოს გრან-პრის უმასპინძლა. ტურნირი, რომელიც ერთ-ერთ პრესტიჟულად ითვლება, სახელოვანი ძიუდოისტებისთვის მიმზიდველია და ამიტომ, ბუდაპეშტში არაერთი ჩემპიონი ვიხილეთ. მხოლოდ ტედი რინერის დასახელება რად ღირს, რომელიც უნგრეთში გამართული გრან-პრის მთავარი ვარსკვლავი იყო და ოქროს მედალიც მარტივად მოიპოვა. რაც შეეხება საქართველოს ნაკრებს...

ლაშა გუჯეჯიანის გუნდმა საერთო ჯამში ხუთი მედალი აიღო – სამი ვერცხლი და ორიც ბრინჯაო. ფინალური შეხვედრები ლუხუმ ჩვხიმიანმა, ლაშა შავდათუაშვილმა და ვარლამ ლიპარტელიანმა დათმეს, მესამე ადგილი კი თემურ ნოზაძემ და ბექა ღვინიაშვილმა მოიპოვეს. ფინალის წამგები სამივე ძიუდოისტი, ალბათ, ნაკრებში ყველაზე გამოცდილია. მათ არც უმაღლესი რანგის ტიტულები უკვირთ და თუ ლიპარტელიანს ოლიმპიადისა და მსოფლიოს ჩემპიონატების ვერცხლის მედალი აქვს შინ, იგივე ჩხვიმიანი მსოფლიოს ჩემპიონია, შავდათუაშვილი კი ყველაფრის ჩემპიონი... ბუდაპეშტშის ტურნირმა ოლიმპიადა გაგვახსენა, სადაც საოცარი შედეგი ვაჩვენეთ, 1 ოქროსა და 3 ვერცხლის მედალი მოვიპოვეთ, ანუ იქაც სამი ფინალი წავაგეთ და დასანანია, რომ ამ სამი ფინალიდან, ორის მოგება შეიძლებოდა.

მოკლედ, იმის თქმა გვინდა, რომ ბოლო დროს, ფინალში გასვლა და მერე იქ მარცხი გაგვიმრავლდა. რომ ვთქვათ, ბიჭებს ფსიქოლოგიური პრობლემები აქვთო, ალბათ, არ იქნება მართალი იმიტომ, რომ ნაკრების სამწვრთნელო შტაბის დღევანდელ შემადგენლობასაც და ძიუდოისტთა აბსოლუტურ უმრავლესობასაც გამარჯვებულის მენტალიტეტი აქვთ, უპრონციპულესი დაპირისპირებები კბილებით აქვთ გატანილი და მოგებული. უფრო ის გვგგონია, რომ ძაღლის თავი ფიზ-მომზადებაში იმალება და ბოლო შეხვედრაში ჩვენებს ძალა არ ჰყოფნით. სხვა მხრივ, სამწვრთნელო შტაბის ამ შემადგენლობის ხელში, ძიუდოისტთა ნაკრები ყველა ტურნირზე ერთ-ერთ მთავარ ფავორიტად ჩადის და... ფინალების მოგება უნდა ვისწავლოთ.

უიმბლდონი ჯოკოვიჩმა და... რუსმა მოიგო

დიდი მუზარადის ყველაზე პრესტიჟული, უიმბლდონის ტურნირი დასრულდა. მამაკაცთა შორის, პირველობა არავის დაუთმო ნოვაკ ჯოკოვიჩმა, რომელმაც კარიერაში 21-ე დიდი სლემი და მათ შორის, მეშვიდე უიმბლდონი მოიგო. ქალთა შორის კი, პირველობა „ყაზახმა“ ელენა რიბაკინამ არავის დაუთმო. რიბაკინა რუსეთში დაბადებული და გაზრდილი სპორტსმენია და ამ ქვეყნის სახელით გამოდიოდა, 2018 წლიდან კი ყაზახეთის სახელით ასპარეზობს. იმის გათვალისწინებით, რომ ჩოგბურთის ტურნირებზე რუს და ბელორუს სპორტსმენებს გამოსვლა აკრძალული აქვთ, რიბაკინას აშკარად გაუმართლა და ყაზახეთის სახელით იასპარეზა. ყველაზე საინტერესო კი, ფინალური მატჩის შემდეგ, მის მიერ უიმბლდონის ოფიციალური ვებ-გვერდისთვის მიცემული ინტერვიუ გახდა.

ჟურნალისტი: „წელს, უიმბლდონზე, რუსი და ბელორუსი მოთამაშეები არ დაუშვეს. თქვენ დაიბადეთ და გაიზარდეთ რუსეთში, მაგრამ დღეს წარმოადგენთ ყაზახეთს. გმობთ თუ არა ვლადიმირ პუტინის ქმედებებს?“

რიბაკინა: „ბოდიში, კითხვა ვერ გავიგე“.

ჟურნალისტი: „გმობთ ომს და პუტინის ქმედებებს? საინტერესოა თქვენი პოზიცია“.

რიბაკინა: „შეკითხვა ვერ გავიგე, რადგან ინგლისური კარგად არ მესმის. მხოლოდ ის შემიძლია გითხრათ, რომ ყაზახეთს წარმოვადგენ. მე არ ამირჩევია ადგილი, სადაც დავიბადე, ყაზახეთი მტკიცედ მიჭერს მხარს და ხალხს ჩემი სჯერა. დღესაც, მათგან დიდი მხარდაჭერა ვიგრძენი, ტრიბუნებზე ბევრი დროშა იყო. ასე რომ, არ ვიცი, როგორ ვუპასუხო თქვენს შეკითხვას“...

როგორც მედია წერს, რიბაკინა ყაზახეთს კი წარმოადგენს, მაგრამ რუსეთში ცხოვრობს, მოსკოვში ვარჯიშობს, მშობლებიც მოსკოვში ჰყავს, სახლი და ბიზნესიც მოსკოვში აქვს და შესაბამისად, ის პუტინის საწინააღმდეგო განცხადებას არანაირად არ გააკეთებდა. ინგლისური კი... ყველა პრესკონფერენციაზე, რიბაკინა გამართული ინგლისურით საუბრობს.

რონალდუ არავის სჭირდება

კრიშტიანუ რონალდუს „მანჩესტერ იუნაიტედიდან“ წასვლა სურს, მაგრამ... მისი გადაბირება არავის უნდა. ერთი შეხედვით, ეს ყველაფერი აბსურდია, რადგან მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელის დამატებით ნებისმიერი კლუბი გაძლიერდება, მაგრამ ყველაფერი დეტალურად „ჩელსის“ მთავარმა მწვრთნელმა, ტომას ტუხელმა ახსნა.

„გუნდის ახალმა მფლობელმა მითხრა, რომ რონალდუს გადაბირება სურდა, რისი კატეგორიული წინააღმდეგიც ვარ. პორტუგალიელი ყველა დროის ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელია, დარწმუნებული ვარ, სადაც არ უნდა მივიდეს, 20 გოლზე მეტს გაიტანს, მაგრამ მისი დამატება ბევრს არ სურს. რატომ? იმიტომ, რომ მერე გუნდის მთელი ტაქტიკა სწორედ კრიშტიანუს უნდა მოერგოს და ამ ყველაფერმა არ გაამართლა. ზოგადად, თანამედროვე ფეხბურთში, ერთ მოთამაშეზე აწყობილი გუნდი ვერ ამართლებს და ეს არაერთხელ დამტკიცდა. არადა, როცა გუნდში რონალდუ გეყოლება, სხვა გზა, უბრალოდ, არ გექნება. ამიტომაც ვამბობ მის შეძენაზე უარს“, – განაცხადა ტუხელმა და... მას ძალიან ბევრი დაეთანხმა.

აქვს თუ არა ბრძოლას აზრი

რას ფიქრობს პოეტი გენრი დოლიძე ქართული ენის გამოცდის სკანდალზე

თათია გოჩაძე
598-43-50-34

4 ივლისს, ერთიანი ეროვნული გამოცდები დაიწყო, აბიტურიენტებს პირველი გამოცდა ქართულ ენასა და ლიტერატურაში ჰქონდათ. ქართული ენის გამოცდაზე დასაწერი ესსე ასეთი სათაურით მოვიდა: „აქვს თუ არა ბრძოლას აზრი, თუ დამარცხებისთვის ხარ განწირული“, რასაც საზოგადოების მხრიდან დიდი გამოხმაურება მოჰყვა. საზოგადოების დიდმა ნაწილმა მიიჩნია, რომ მოცემულ სოციალურ-პოლიტიკურ ვითარებაში, აღნიშნული სათაურის მიწოდება აბიტურიენტებისთვის პოლიტიკურ დატვირთვას ატარებს. შეფასებისა და გამოცდების ეროვნულმა ცენტრმა ამის შესახებ განცხადებაც გაავრცელა: „შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი ეხმიანება მედიაში გავრცელებულ ინფორმაციას ერთიანი ეროვნული გამოცდების ქართული ენისა და ლიტერატურის ტესტის ერთ-ერთი დავალების შესახებ. გაცნობებთ, რომ აღნიშნულ დავალებაში მოცემული იყო ნიკო ლორთქიფანიძის ნაწარმოები „ამაყი“, რომელიც ეხება თავისუფლებისთვის ბრძოლის თემას. ამ ტექსტს მოჰყვებოდა 10 კითხვა არჩევითი პასუხებით. ამის შემდეგ მოცემული იყო მითითება ტექსტის ანალიზისთვის, რასაც ასეთი შინაარსი ჰქონდა: აქვს თუ არა აზრი ბრძოლას, თუ დამარცხებისთვის ხარ განწირული.

სამწუხაროდ, ზოგიერთი მედიასაშუალებისგან აღნიშნულ საკითხს მოჰყვა არასწორი ინტერპრეტაციები და გავრცელდა კონტექსტიდან ამოგლეჯილი ფრაზა, რამაც საზოგადოება შეცდომაში შეიყვანა.

ვინაიდან, დღეს დაიწყო გამოცდები და რეგისტრირებულია 90 000-ზე მეტი გამოსაცდელი, მათივე ინტერესებიდან გამომდინარე, დაუშვებლად მიგვაჩნია საკითხის პოლიტიზება, რადგან მსგავსი ტიპის ინფორმაციებმა შესაძლოა უარყოფითი გავლენა მოახდინოს აპლიკანტებზე. ეს არ არის პირველი შემთხვევა, როდესაც ცდილობენ გამოცდების პოლიტიკურ პროცესებთან დაკავშირებას, რაც ჩვენთვის კატეგორიულად მიუღებელია.

თითოეული ჩვენგანის მიზანია, მივცეთ აბიტურიენტებს ცოდნის მაქსიმალურად გამოვლენის შესაძლებლობა. აქედან გამომდინარე, შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი გთხოვთ, ტესტის გამოქვეყნებამდე, თავი შეიკავოთ მისი შეფასებებისგან. მანამდე კი დაინტერესებულ საზოგადოებას თავად შეუძლია გაეცნოს ნიკო ლორთქიფანიძის ნაწარმოებს“.

„ვერსია“ პოეტ გენრი დოლიძეს ესაუბრა.

– ბატონო გენრი, ერთიან ეროვნულ გამოცდებზე, ქართულ ენასა და ლიტერატურაში მოვიდა თემა: „აქვს თუ არა ბრძოლას აზრი, თუ დამარცხებისთვის ხარ განწირული“. როგორ ფიქრობთ, ამ სათაურში პოლიტიკური ქვეტექსტი იკვეთება?

– ვფიქრობ, რომ პოლიტიკური ქვეტექსტი იკვეთება და თუ არ იკვეთება, ერთ-ერთი სიმბოლური დამთხვევა მაინცაა იქიდან გამომდინარე, რომ „ქართულმა ოცნებამ“ წლებია, მოახდინა სრული უზურპაცია განათლების სისტემის და ყველა რგოლს პოლიტიკური მდგენელი აქვს დაწესებული მმართველი გუნდის მიერ. დღეს, სწორედ ხელისუფლების მიერ კონტროლირებადი სფეროებია ხელოვნება და განათლება.

– ეს არის ერთგვარი სოციალური კვლევა, თუ როგორი განწყობა აქვთ დღეს ახალგაზრდებს?

– ეს არ არის ახალგაზრდების აზრის კვლევა, ეს არის ერთგვარი „მესიჯბოქსი“. პირიქით, მათ არავის აზრი აინტერესებთ, მათ უნდათ, რომ საკუთარი აზრი მოახვიონ ახალგაზრდებს. ეს კითხვა უკვე მოიცავს პასუხს, ეს სათაური თავისთავად გეუბნება, რომ დამარცხებისთვის ხარ განწირული. არ არსებობს განწირვა ბრძოლის პროცესში იმიტომ, რომ ბრძოლა თავად წყვეტს, ვინ იქნება გამარჯვებული და ვინ – დამარცხებული. შესაბამისად, ბრძოლას ყოველთვის აქვს აზრი! ბრძოლა იმიტომ ხდება, რომ რაღაც შეიცვალოს, თუკი გეუბნებიან, რომ დამარცხვებისთვის ხარ განწირული, ეს არის პარადოქსის ერთ-ერთი ფორმა – ოქსიმორონი. ეს სათაური თვითონვე გვეუბნება ბრძოლის შედეგს, თვითონვე მიაწოდეს პასუხი, რომ სტუდენტებს ჩაუნერგონ ერთგვარი ნიჰილიზმი, დათრგუნონ მათი ის უნარი და მუხტი, რომლისაც ყველაზე მეტად ეშინიათ.

ვიცით, რომ ჩვენს ქვეყნაში სტუდენტების გამოღვიძებით იწყება ყველაზე დიდი სახელმწიფო ძვრები.

– რამდენად დიდ შეცდომად მიგაჩნიათ დღევანდელი რეალობიდან ან ჩვენი ისტორიიდან გამომდინარე, რომ ახალგაზრდებს ამ ფორმულირებით შესთავაზონ თავგანწირვაზე მსჯელობა?

– ეს არის ერთ-ერთი შტრიხი დღევანდელი პოლიტიკისა. მთელი ამ, რუსეთ-უკრაინის ომის პერიოდში, ომამდე პერიოდშიც სულ გვესმოდა, რომ არგაღიზიანების პოლიტიკა უნდა გავატაროთ, ბრძოლა არ შეიძლება... შესაბამისად, ბრძოლისუნარიანობასა და ჟინს უკლავენ ახალგაზრდებს, რათა მომავალშიც არასოდეს ამოვიღოთ ხმა და არ გვქონდეს ბრძოლის სურვილიც კი, არათუ – პერსპექტივა და რეალური შანსი...

ამიტომ ვფიქრობ, რომ რეალურად, ერთგვარად, ლუსტრაცია მოხდა ხელისუფლების, კიდევ ერთი ლუსტრაცია, რომ ატარებს რუსულ ნარატივს და მისი „მესიჯბოქსის“ პაკეტის ნაწილი იყო ეს, იმ „მესიჯბოქსისა“, რომელიც გვესმის პარლამენტიდან, პრეზიდენტის ტრიბუნიდან და ამ შემთხვევაში, უკვე საგამოცდო ფურცლებიდანაც.

ვერტიკალური ფერმები მაღაზიებში

სამხრეთ აფრიკულმა რითეილერმა Pick n Pay, სასათბურე ფერმასთან CAN-Agri ერთად გადაწყვიტა, მაღაზიებში „ვერტიკალური ფერმები“ დადგას, რათა მყიდველებს მეურნეობისადმი ინოვაციური მიდგომები აჩვენონ. ეს მიდგომები 95%-ით ნაკლები წყლის, სასუქისა და პესტიციდების გამოყენებას ითვალისწინებს. ქალაქ სენდტონისა და კეიპტაუნის მარკეტებში უკვე დაიდგა ასეთი ფერმები – 24 რიგი მწვანე მცენარეებითა და ბუნებრივი განათებით. ასე მყიდველი თვალნათლივ ხედავს მოსავლის მოყვანის უფრო მდგრადი მეთოდების დანერგვის შედეგსაც და საკვები ნარჩენების პრობლემის გადაწყვეტასაც. იდეის ავტორები აპირებენ, რომ ახლო მომავალში, ასეთი „ვერტიკალური ფერმები“ სამხრეთ აფრიკის სხვა ქალაქების მაღაზიებშიც დადგან.

კორონავირუსის სამკურნალო პრეპარატს მიაგნეს

მკვლევართა საერთაშორისო ჯგუფმა აშშ-დან, შვეიცარიიდან და ჩინეთიდან აღმოაჩინა პრეპარატი, რომელიც ჩვეულებრივ, ონკოლოგიური დაავადებების დროს გამოიყენება და რომელსაც შეუძლია იმოქმედოს COVID-19-სა და სხვა ვირუსებზეც. სწავლულთა დასკვნები ჟურნალ ACS Infectious Diseases-ში გამოქვეყნდა. კორონავირუსული ინფექციის თერაპიის არსებული მეთოდები ჯერ კიდევ შორსაა სრულყოფილებისგან, რადგან მუშაობის გარკვეული ნიუანსები ახასიათებთ, ამიტომ მთელი მსოფლიოს სპეციალისტები ახალ გზებს ეძებენ მკურნალობისთვის. ერთ-ერთი ასეთი ვარიანტი შეიძლება გახდეს სიმსივნის საწინააღმდეგო პრეპარატი აპრატოკსინ S4, რომელიც ადამიანის ცილებზე მუშაობს და ხელს უშლის ბევრი ვირუსის რეპლიკაციას. კოვიდით დაავადებული მაიმუნებისა და ადამიანების უჯრედებზე ჩატარებული ექსპერიმენტებისას, სწავლულებმა გაარკვიეს, რომ აპრატოკსინი დაინფიცირებული უჯრედების რაოდენობას უფრო მნიშვნელოვნად ამცირებს, ვიდრე არსებული ვირუსიის საწინააღმდეგო პრეპარატები. თავისი ეფექტიანობა აჩვენა მან ასევე A-ტიპის გრიპის ვირუსის, ზიკას ვირუსის, დენგესა და დასავლეთ ნილოსის ვირუსების წინააღმდეგაც.

ფულის ტორტი საჩუქრად

მალაიზიაში მცხოვრებმა საკუთარ დას დაბადების დღეზე ფულისგან გაკეთებული ტორტი აჩუქა. ფასიანი ქაღალდის ქმნილება სიმაღლეში ერთ მეტრზე მეტი იყო, მის აწყობას კი 11 ათასი დოლარი დასჭირდა. ფულის ტკბილეული 9 იარუსად განლაგებული კუპიურებისგან შედგებოდა. კოკო ტონგმა ის დას, ვივიანს აჩუქა, რომელსაც 26 წელი შეუსრულდა. იუბილარმა ამ მოვლენის ამსახველი ფოტო სოციალურ ქსელში გამოაქვეყნა, რასაც არაერთგვაროვანი კომენტარები მოჰყვა. მომხმარებელთა უმრავლეობას მიაჩნია, რომ ამ ფულის დახარჯვა უფრო სასარგებლო რამეზე შეიძლებოდა, ზოგს კი ეს სიურპრიზი მოეწონა და საკუთარ ახლობლებს ასეთივე საჩუქრის გაკეთებისკენ მოუწოდა.

სამხედროებს თმის შეღებვის უფლება მისცეს

როგორც ქვეყნის შეიარაღებული ძალების პრესსამსახური იუწყება, კანადელ სამხედროებს შეეძლებათ თმის გაზრდა და შეღებვა, ასევე, სახეზე ტატუს გაკეთება. ახალი ნორმები ჯარისკაცების გარეგნობის შესახებ უკვე სექტემბრიდან ამოქმედდება. როგორც აღნიშნავენ, ცვლილების მიზანია, არმია გენდერულად უფრო ნეიტრალური გახდეს. კერძოდ, ახალწვეულებს მეტად აღარ მოუწევთ თავის გადაპარსვა, მათ თმის გაზრდა შეეძლებათ, ოღონდ თუ მხარს ქვემოთ იქნება სიგრძე, აუცილებლად შეკრული უნდა ჰქონდეთ. სამხედროები შეძლებენ თმის შეღებვასაც, დასაშვებია ბაკენბარდები, წვერი, ულვაში და ნებისმიერი სიგრძის კარგად მოვლილი „ესპანიოლკებიც“ კი. დასაშვებია ტატუს გაკეთება სახეზეც, თუკი ის დისკრიმინაციული შინაარსის არ იქნება.

ეიფელის კოშკს ჩამოშლა ემუქრება

პარიზის სიმბოლო – ეიფელის კოშკი დაჟანგდა და კაპიტალური შეკეთება სჭირდება, – ამის შესახებ ბრიტანული „გარდიანი“ წერს. 2024 წლის ოლიმპიური თამაშებისთვის, კოშკის მხოლოდ კოსმეტიკური რემონტი საკმარისი არაა გუსტავ ეიფელის ნახელავის გადასარჩენად. გამოცემა აღნიშნავს, რომ 60 მილიონ ევროდ შეფასებული ღონისძიებები მხოლოდ გააღრმავებს კოროზიას – კოშკს მთლიანად დაშლა, გარემონტება და გადაღებვა სჭირდება, – წერს გაზეთი. ანალოგიური მონაცემები მოჰყავს ფრანგულ ჟურნალ Marianne-საც, რომელიც წერს, რომ 2010 წლიდან, კოშკი სავალალო მდგომარეობაშია. თუმცა, ამ ყველაფერს, მათ შორის, კოშკის ჩამოშლის საშიშროებასაც, რამაც მეტად ააღელვა პარიზელები, უარყოფს ქალაქის სიმბოლოს ადმინისტრაცია. მათი განცხადებით, კოშკი არასდროს ყოფილა ისე მოვლილი, როგორც ახლა და ის მყარად დგას უნაკლო მეტალის წყალობით. თავად გუსტავ ეიფელს მიაჩნდა, რომ მისი ქმნილება საუკუნეებს გაუძლებდა, საკმარისია, მისი გადაღებვა შვიდ წელიწადში ერთხელ.

ქალაქის მერი ალიგატორზე დაქორწინდა

მექსიკის ქალაქ სან-პედრო-უამელულას მერი, ვიქტორ უგო სოსა ნიანგზე დაქორწინდა. აღსანიშნავია, რომ ეს რიტუალი ადგილობრივი ტრადიციაა, რომელიც კოლუმბამდელ ეპოქას უკავშირდება. ამ რიტუალს ატარებენ იმისთვის, რომ მოსავლიანობა გაიზარდოს და მდინარეში თევზის რაოდენობა გაიზარდოს. საქორწინო ცერემონიის დროს, მერმა საზეიმოდ ჩამოატარა ქუჩაზე „პატარძალი“, რომელიც თეთრ კაბაში ჰყავდათ გამოწყობილი და არც კოცნა დავიწყებია. ღონისძიება ხმაურიანი მუსიკისა და ცეკვების თანხლებით გაიმართა. აღსანიშნავია, რომ „პატარძალს“, სახელად პატარა პრინცესას, ყბები თოკით ჰქონდა ამოკრული, შემთხვევით, ვინმესთვის რომ არ ეკბინა.

უკრაინულ ბორშჩს იუნესკო დაიცავს

უკრაინული ბორშჩი იუნესკოს არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის სიაში შეიტანეს. ქვეყნის კულტურის მინისტრის თქმით, უკრაინა სიამოვნებით გაუზიარებს ამ კერძს და მის რეცეპტებს მსოფლიოს ყველა ცივილიზებულ სახელმწიფოს. უკრაინის საგარეო საქმეთა სამინისტრომ, ბორშჩის არამატერიალური კულტურის ძეგლად აღიარების მოთხოვნით განცხადება გასულ წელს შეიტანა. ეს განაცხადი 2023 წელს უნდა განხილულიყო, თუმცა ომის გამო, დაჩქარებული წესით განიხილეს.

დანაშაულის პროგნოზი ხელოვნური ინტელექტისგან

ამერიკელმა სწავლულებმა ჩიკაგოს უნივერსიტეტიდან ალგორითმი შექმნეს, რომელიც 90%-იანი სიზუსტით წინასწარმეტყველებს, სად მოხდება თავდასხმა ან ქურდობა ერთი კვირის შემდეგ, 300 მეტრის რადიუსში. ჯერჯერობით, ეს ყველაზე დახვეწილი მეთოდია მსგავს ნამუშევრებს შორის. ხელოვნურმა ინტელექტმა დანაშაულის პროგნოზირება ღია მონაცემების საფუძველზე ისწავლა. ეს კანონზომიერების მონაცემებია დროში და დანაშაულის ჩადენის ადგილებზე. ალგორითმი ჩიკაგოში, ატლანტაში, ოსტინში, ლოს-ანჯელესსა და აშშ-ს სხვა დიდ ქალაქებში დატესტეს. „ჩვენ ქალაქის გარემოს ციფრული ორეული შევქმენით. თუ მას მივაწვდით მონაცემებს, რა მოხდა წარსულში, ის გვეტყვის, რა მოხდება მომავალში“, – გვიხსნიან ალგორითმის ავტორები.

ეკოლოგიური ავოკადო შექმნეს

ბრიტანელმა სპეციალისტებმა ეკოლოგიური ავოკადო შექმნეს ვაშლისა და პარკოსნებისგან, რათა ადამიანები იმპორტირებულ ხილს გადააჩვიონ. ერთ-ერთი ავტორი, დიზაინერი არინა შოკოუი ამტკიცებს, რომ ჯანსაღი ცხოვრების მიმდევრები ავოკადოს დიდი რაოდენობით მიირთმევენ. არადა, სულ ერთი ცალი ნაყოფის მოსაყვანად, 320 ლიტრი წყალი იხარჯება. გარდა ამისა, მონოკულტურული პლანტაციების გასაშენებლად ტროპიკული ტყე იჩეხება – ეს კი ზიანს აყენებს ბიომრავალფეროვნებას. ეკოლოგიურ ავოკადოს „ეკოვადო“ უწოდეს და ის დაფქვილი პარკოსნების, ვაშლისა და თხილისგან შექმნეს. ღაც მთავარია, ახალი პროდუქტი და მისი ყველა ინგრედიენტ ადგილობრივია. კურკის ნაცვლად, „ეკოვადოში“ კაკალია, ამ იმიტაციური ხილის კანი ცვილისგან დაამზადეს და საკვებად ვარგისი მწვანე საღებავით შეღებეს. გარსი ბიოხრწნადია, სურვილის შემთხვევაში, მისგან სანთლის დამზადებაც შეიძლება.

ტაქსის ნომერმა ჯეკპოტი მოაგებინა

აშშ-ში, მერილენდის შტატში მცხოვრებმა მამაკაცმა, ჯეკპოტი ლატარეაში, ტაქსის ნომრების წყალობით მოიგო. 51 წლის ამერიკელი ამბობს, რომ საკუთარი მანქანა გაუფუჭდა და Uber-ის ტაქსი გამოიძახა. „მძღოლი ძალიან სასიამოვნო ადამიანი აღმოჩნდა, ვიდრე სამსახურამდე მივიდოდი, გზაში ვლაპარაკობდით. იმდენად მომეწონა ეს ადამიანი, რომ ტაქსის ნომერი დავიმახსოვრე“, – ამბობს კლამყოფილი კლიენტი. მოგვიანებით, მაღაზიაში ლატარიის ბილეთის საყიდლად შევიდა და ერთ-ერთში, სწორედ იმ ტაქსის ნომრები ჩაწერა, რომლითაც იმგზავრა. მისდა გასაოცრად, ეს ბილეთი იღბლიანი აღმოჩნდა და მამაკაცს 50 ათასი დოლარი მოაგებინა.

ვენაში ლუდის შადრევანი გახსნეს

ავსტრიის „ლუდის პარტიამ“, დედაქალაქის ცენტრალურ მოედანზე ლუდის შადრევანი გახსნა. როგორც ადგილობრივი გაზეთი Kleine Zeitung წერს, პარტიის ხელმძღვანელობა საკუთარ ამომრჩევლებს შადრევნის დადგმას ჯერ კიდევ ორი წლის წინ დაპირდა, როცა ადგილობრივ პარლამენტში ადგილები მიიღო, თუმცა მათი პირობის შესხრულებას ხელი კორონავირუსის პანდემიამ შეუშალა. როგორც პარტიის ლიდერმა, პანკ-ჯგუფ Turbobier-ის სოლისტმა, დომინიკ ვლაზნიმ განაცხადა, მობილური შადრევანი ოთხი ონკანით, ვენის ცენტრში, „ბიუროკრატიული მიზეზების“ გამო, მუდმივად ვერ იდგება, რის გამოც მას პარტიის მიერ ორგანიზებულ ღონისძიებებზე გამოიყენებენ. „ლუდის პარტია“ ვლაზნიმ 2015 წელს დააარსა. პარტიის ძირითადი პრიორიტეტებია ნატურალური ლუდის მოხმარება, კლიმატის ცვლილებასთან ბრძოლა და კულტურის განვითარება.

ფულს გაღვიძებით შოულობს

ავსტრალიელი ბლოგერი, ჯეიკი ბემი გამომწერებისგან ფულს იმაში იღებს, რომ მათ აქვთ შესაძლებლობა, გააღვიძონ. ამ გზით მიღებული ბემის ყოველთვიური შემოსავალი 28 ათასი დოლარია. ახლგაზრდა მამაკაცმა საკუთარ საძინებელში დინამიკები, ლაზერი და საპნის ბუშტების გამშვები მოწყობილობა დადგა. მან განაცხადა, რომ ნებისმიერ გამომწერს შეუძლია ფული გადაიხადოს და რომელიმე მელოდიის თანხლებით, ბლოგერი გააღვიძოს, ბონუსად კი ლაზერის შოუს მიიღებს. დროთა განმავლობაში, ბლოგერი საკმაოდ პოპულარული გახდა სოციალურ ქსელში და ნახევარ მილიონზე მეტი გამომწერი ჰყავს. მსურველებიც საკმაოდ არიან, რომლებიც მას ფულს ურიცხავენ და სანაცვლოდ, აღვიძებენ კიდეც, როგორც ღამით, ისე დღისითაც. მიღებული შემოსავლით ჯეიკი გახარებულია და მიღწეულზე გაჩერებას არ აპირებს – ყოველდღიურად, პირდაპირ ჩართვებს აკეთებს და გამომწერებისთვის ახალ-ახალ ფუნქციებსაც ამატებს. თუმცა, ბემი იმასაც აღიარებს, რომ ადამიანების აქტიურობის გამო, ნორმალურად გამოძინებას ვერ ახერხებს.

მარტოხელა მოხუცებზე რობოტები იზრუნებენ

ნიუ-იორკში, ამერიკელი მარტოხელა მოხუცების მოვლასა და გართობაზე 800-ზე მეტი რობოტი იზრუნებს. ერთ-ერთი ადგილობრივი მედიის ცნობით, „ჭკვიანი მანქანები“ 65 წელზე უფროსი ასაკის იმ ადამიანების დასახმარებლად შეიქმნა, რომლებიც მარტო ცხოვრობენ. ElliQ-ს რობოტს შეუძლია უპასუხოს კითხვებს, ესაუბროს ადამიანს, შეახსენოს მას კონკრეტული ინფორმაცია და სხვა. რობოტები გამოსადეგია სხვა საყოფაცხოვრებო საქმეებისთვისაც. აღსანიშნავია, რომ მარტოობა ხანდაზმული ადამიანებისთვის ერთგვარი ეპიდემიაა. ცოტა ხნის წინ გამოქვეყნებული კვლევების მიხედვით, მარტოობისა და იზოლაციის შედეგები ჯანმრთელობისთვის ისეთივე საშიშია, როგორც დღეში ერთი კოლოგი სიგარეტის მოწევა. არადა, ეს რეალობა ბევრი მოხუცის ყოველდღიურობაა, ElliQ-ს რობოტები კი მათ გარკვეულ დახმარებას გაუწევენ.

ღატაკმა მეთევზემ იშვიათი მარგალიტი იპოვა

37 წლის ტაილანდელმა მეთევზემ უჩვეულო, ფორთოხლისფერი მარგალიტი შემთხვევით აღმოაჩინა. ოკეანის სანაპიროზე, მოქცევის შემდეგ, ოჯახთან ერთად, ის მოლუსკებს აგროვებდა. ნაპოვნ ძვირფას ქვას მელოს მარგალიტს ეძახიან, რადგან მას ზღვის ლოკოკინა მელო-მელო ბადებს და ის სადაფისგან არ შედგება. მისი გავრცელების არეალი ვიეტნამი და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის წყლებია. მელო-მელო 10 მეტრის სიღრმეზე ცხოვრობს და საკმაოდ იშვიათია. ნაპოვნი მარგალიტი არა მხოლოდ ფერით, არამედ, ფორმითაც საკმაოდ იშვიათია – ის თითქმის იდეალურად მრგვალია. მარგალიტის სავარაუდო ფასი, არანაკლებ, 300 ათასი დოლარია.

ყავა გულისთვის სასარგებლოა?

დღეში ერთი ან მეტი ფინჯანი შავი ყავა გულის უკმარისობის რისკს ამცირებს, – განაცხადეს ამერიკელმა მკვლევარებმა. აშშ-ს გულის ასოციაცია ამ დასკვნამდე სამი მასშტაბური კვლევის შედეგების შეჯამების შემდეგ მივიდა. კვლევებში, დაახლოებით, 21 ათასი ადამიანი მონაწილეობდა, ერთ-ერთი კვლევა კი 72 წელი მიმდინარეობდა. სწავლულებმა დაადგინეს, რომ ყავის მსმელებს შორის, გულის უკმარისობის რისკი 5-დან 12%-მდე ნაკლებია იმ ადამიანებთან შედარებით, რომლებიც ყავას არ მიირთმევენ. თუ ადამიანი დღეში 2 ფინჯან მატონიზირებელ სასმელს მიირთმევს, ეს მაჩვენებელი 30%-ს შეადგენს. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ასეთი შედეგი მხოლოდ შავი, უშაქრო ყავის მოხმარების შემდეგ მიიღწევა, გულის უკმარისობის რისკს არც უკოფეინო ყავა ამცირებს. როგორც მკვლევარები აღნიშნავენ, მიღებული შედეგები მათთვის გასაკვირი აღმოჩნდა.

„მოაზროვნეს“ აუქციონზე გაყიდიან

ცნობილი ფრანგი მოქანდაკის, ფრანსუა ოგიუსტ როდენის „მოაზროვნის“ ასლი პარიზში, Christie’s-ს აუქციონზე გაიყიდება. ამის შესახებ „როიტერი“ გვატყობინებს. ბრინჯაოს ქანდაკების ზომა 70 სანტიმეტრია. როდენმა ის დაახლოებით 1880 წელს შექმნა. აუქციონის ორგანიზატორები ვარაუდობენ, რომ მოქანდაკის გვირგვინად ქცეული ქმნილება 14.8 მილიონ დოლარად გაიყიდება. ქანდაკების ორიგინალი პარიზში, როდენის მუზეუმში ინახება. ცნობილია, რომ მას შემდეგ, რაც „მოაზროვნემ“ დიდი პოპულარობა მოიპოვა, როდენმა ბრინჯაოში მისი 10 ასლი ჩამოასხა. 1917 წელს, მოქანდაკის გარდაცვალების შემდეგ, ასლების ჩამოსხმის უფლება ფრანგ ხალხს გადაეცა და „მოაზროვნის“ ასლების რიცხვიც 20-მდე გაიზარდა. დღეისთვის, ამ ცნობილი ქანდაკების თაბაშირისა და ბრინჯაოს ასლები ჟენევის, მელბურნის, ვაშინგტონისა და პარიზის გალერეებშია წარმოდგენილი.

კომპენსაცია ჩაშლილი დასვენებისთვის

ფინეთის მომხმარებელთა კამათების გადაჭრის კომისიამ პირველად დაადგინა კომპენსაცია „შვებულებისგან მისაღები სიამოვნების დაკარგვისთვის“, – აცხადებს ქვეყნის საზოგადოებრივი მაუწყებელი. ანაზღაურება შეიძლება მიიღონ, მაგალითად, იმისთვის, თუკი მომხმარებელი სასტუმროში საკვებით მოიწამლება ანდა ტკიპა უკბენს. თუმცა, უბრალოდ, ნეგატიური განწყობა ან იმედგაცრუება არ ჩაითვლება კომპენსაციის გადახდის საფუძვლად. კომისიის თავმჯდომარის განცხადებით, ანაზღაურება სიამოვნების დაკარგვისთვის, დაახლოებით, 100 ევრო იქნება.

„ემოციური ძალადობისთვის“ დააჯარიმეს

თურქეთში მცხოვრები მამაკაცი ფულად კომპენსაციას გადაუხდის საკუთარ მეუღლეს „ემოციური ძალადობისთვის“, რადგან არაერთხელ უთქვამს მისთვის, რომ არ უყვარს. ასეთი გადაწყვეტილება ქვეყნის უმაღლესმა სასამართლომ მიიღო. როგორც ცნობილი გახდა, ცოლ-ქმარმა ერთმანეთს ადგილობრივ სასამართლოში უჩივლეს და გამუდმებული შეურაცხყოფისთვის ფულადი კომპენსაცია მოითხოვეს. ქალი აცხადებდა, რომ ქმარი მას ხშირად ტოვებდა სახლში და ეუბნებოდა, არ მიყვარხარო. როგორც „დაზარალებული“ ამტკიცებს, მეუღლის ასეთი საქციელი „ემოციური ძალადობის“ ნიშნებს შეიცავდა. ქალაქ შანლიურფის სასამართლომ ცოლს უარი უთხრა ფულად კომპენსაციაზე იმ მიზეზით, რომ შეურაცხყოფა ორმხრივი გახლდათ. საბოლოოდ, თურქეთის უმაღლესმა სასამართლომ „დაჩაგრული“ ცოლის მხარე დაიჭირა. აღსანიშნავია, რომ ბოლოდრინდელი გამოკითხვების თანახმად, თურქი ქალების 75% ძალადობის მსხვერპლია, მამაკაცების 37.5% კი აღიარებს, რომ საკმაოდ სასტიკები არიან საკუთარი მეუღლეების მიმართ.

ანტიბიოტიკების საჭიროებას ტესტი დაადგენს

დიუკეს უნივერსიტეტის მკვლევარებმა ახალი ტესტი შეიმუშავეს, რომელიც სისხლის ანალიზს ეფუძნება და მედიკოსებს იმის გარკვევაში ეხმარება, რომელი მიკროორგანიმია ამა თუ იმ რესპირატორული დაავადების გამომწვევი. ამ ტესტის საშუალებით, ექიმები შეძლებენ დაასკვნან, სჭირდება თუ არა პაციენტს ანტიბიოტიკებით მკურნალობა. სწავლულთა თქმით, ეს მეთოდი ეფუძნება ადამინის გენების ექსპრესიის შესწავლას – გენების აქტივობა იმისდა მიხედვით იცვლება, ებრძვის თუ არა ორგანიზმი ვირუსით ან ბაქტერიით გამოწვეულ ინფექციას. ტესტი უკვე გამოსცადეს 300-ზე მეტ პაციენტზე და დიდი სიზუსტით (87%) მოახერხეს დაავადების გამომწვევი კონკრეტული აგენტების გამოვლენა. ამჟამად, სწავლულები ტესტის დახვეწაზე მუშაობენ, რათა მისი შედეგების მიღება ერთ საათში შეძლონ.

გაზიანი სასმელი კიბოს წინააღმდეგ

ოქსფორდისა და ოლსტერის უნივერსიტეტების სპეციალისტები ახალ გაზიან სასმელზე მუშაობენ, რომელმაც სიმსივნური წარმონაქმნები სხივური და ქიმიოთერაპიის მიმართ უფრო მოწყვლადი უნდა გახადოს. საქმე ისაა, რომ ზოგიერი სიმსივნე ადაპტირებას ახდენს ნაკლებჟანგბადიან გარემოში. ეს კი მათ პრეპარატების მიმართ უფრო მდგრადს ხდის. სასმელი, რომელზეც ბრიტანელი სწავლულები მუშაობენ, ბუშტუკებით იქნება გაჯერებული, რომლებმაც სიმსინე უნდა „გამოკვებონ“ ჟანგბადით, ეს კი გზას გაუხსნის წამლებსა და სხივურ თერაპიას. აღსანიშნავია, რომ სასმელი უკვე წარმატებით გამოსცადეს ლაბორატორიულ თაგვებზე. მკვლევარები აცხადებენ, რომ სასმელი, უპირველესად, კუჭქვეშა ჯირკვლის კიბოს მკურნალობისთვის იქნება განკუთვნილი.

ვერსია

მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.

UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77

დიზაინერი – გიორგი ლომსაძე

e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge

ტელ: +995 32 294 23 99

ISSN 1987-8699

დაცულია საავტორო უფლებები. რედაქციაში შემოსული მასალები უკან არ ბრუნდება. სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა და ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის შემთხვევაში დაგვიკავშირდით 14 დღის განმავლობაში.